საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო შავაძე

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა თავბერიძე - ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

წინამდებარე ნაშრომი ეხება XIX საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიკოს პოეტს ვახტანგ ორბელიანს. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს და მკითხველს დაამახსოვროს პოეტის მივიწყებული სახელი და შემოქმედება.

ვახტანგ ორბელიანი წარსულის აღდგენაში ეძიებდა ხსნას . იგი, როგორც პესიმისტი რომანტიკოსი, მთლიანად წარსულისაკენ იხედება და იხსენებს ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც წინაპართ ვაჟკაცობასა და გმირობაზე მეტყვლებს.

ისტორიული წარსულის გაცოცხლება ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში მიზნად ისახავდა გაეღვიძებინა თანაედროვე საზოგადოებაში ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის გრძნობა.

ნაშრომში მოკლედ არის განხილული მწერლის ლირიკა და გამოკვეთილია მისი ძირითადი ტენდენციები. ასევე შევეცადეთ წარსულთან ერთად მსჯელობის საგნად გაგვეხადა რელიგიურ-მორალისტური ნაკადი და სოციალურ-დიდაქტიკური თემატიკა, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი პოეტის შემოქმედებაში.

ვიმედოვნებთ, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ასეთი მოკლე დახასიათებაც კი წარმოაჩენს პოეტის ღვაწლს ქართული რომანტიზმის ისტორიაში.

A n o t a c i o n

This work is about Vakhtang Orbeliani romantic poet from first part of nineteenth century. It's goal is to make readers remember poet's forgotten name and activity.

Vakhtang Orbeliani was searching rid off in past resent. He as pessimist poet whole look for into past and reminds only events, wich speeches ancestor's bravely and hero too.

In Vakhtang Orbeliani's creat of historical past resent was goal, it's resentt in contemporary society to sense of hymaneism and patriotism.

In work is examination of outhor Lirik and it's main tend. We also tried to get along with the past the subject of discussion Religious-Moralist and Social-Didactic topic, which is pressented quite imoressive in the poet's works.

We hope, Vakhtang Orbeliani's creat chatacter to imagination poet's merit romantizm, as development of liberary current.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 5

I საკითხის კვლევის ისტორიისათვის ---------- 7

II რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მეთოდი და ვახტანგ

ორბელიანი ----------17

III პოეტისა და პოეზიის დანიშნულებისათვის----------21

IV ეროვნული მოტივი ვ. ორბელიანის ლირიკაში ---------- 27

V წარსულის ხსოვნა ვ. ორბელინის შემოქმედებაში----------35

VI რელიგიურ -მორალისტური ნაკადი ----------50

VII სოციალურ-დიდაქტიკური თემატიკა ----------62

დასკვნა ----------74

გამოყენებული ლიტერატურა----------78

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მე-19 საუკუნის ცნობილი რომანტიკოსი პოეტი ვახტანგ ორბელიანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა ქართულ ლიტერატურაში. იგი წარსულის მეხოტბე შემოქმედია. როგორც თავად პოეტი აღნიშნავს, იმისათვის, რომ დავიბრუნოთ ზნეობრივი სიმტკიცე, აუცილებელია „ძველ სულთან ზიარება“, მაშინ კი „დიდ წარსულს მომავალიც დიდი ექნება“.

ვარხტანგ ორბელიანმა დაგვიხატა რა გარდასულ დღეთა გასხივოსნებული სურათები, მიგვახედა წარსულისკენ და თვალწინ გადაგვიშალა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩვენი ისტორიისა, დიდების შარავანდედით შემოსა ქართველ მამულიშვილთა სულმნათი სახეები. მართალია, ვახტანგ ორბელიანამდე უფრო ადრე სხვა პოეტებმაც გაგვიცოცხლეს წარსული (მაგალითად: გრიგოლ ორბელიანი), მაგრამ ისე ჭეშმარიტად ამ გზაზე არავის უვლია, როგორც მას. ჩვენი პოეტის დამსახურებაა, რომ საზოგადოებაში ამ გრძნობამ გაიღვიძა და ფეხი აიდგა.

ვახტანგ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლა ქართულ რომანტიზმს, როგორც მთლიანი ლიტერატურული მიმართულების შინაარსს მნიშვნელოვნად ამდიდრებს, რადგან პოეტმა სასოებით შემოაღო ლიტერატურის კარი და საზოგადოებაც აიყოლია თავისი წმინდა პატრიოტული ლირიკით. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, რადგან მისი მთელი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულის იდეაზეა დაფუძნებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ რბელიანი პოეტთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა ბიოგრაფიის საფუძვლიან ცოდნას, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს მათი შემოქმედებითი სამყაროს სიღრმისეული გაცნობისთვის. თუ თვალს გავადევნებთ პოეტის ბიოგრაფიას ვნახავთ, რომ მკაცრ ცხოვრებასა და სამშობლოსაგან შორს ყოფნით დამძიმებულ გულს ფრთები გაუშლია მთელ მის შემოქმედებაში.

იქედან გამომდინარე, რომ ვახტან ორბელიანის შემოქმედება ქართული რომანტიზმის უკანასკნელი გამოძახილია და ლექსები მთლიანად რომანტიული სტილითაა დაწერილი, მისი პოეზიის შესწავლა შუქს მოჰფენს რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას. შესაბამისად, **თემის მიზანს** წარმოადგენს ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ძირითადი ტენდენციისა და ღირებულების წარმოჩენა, აქტუალიზაცია და მასში არსებული ეპოქის პრობლემატიკის გამოკვეთა. სწორედ ამ ჭრილში მიმოხილული გვაქვს პოეტის ცხოვრების ყველა ძირითადი ეტაპი.

კვლევის მეთოდოლოგია: თემა ნაკვლევია ისტორიულ-შედარებითი მეთოდით. გამოყენებულია ისტორიული ანალიზის მეთოდი.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ვახტანგ ორბელიანის ლირიკის განსხვავებული ხედვა და მისი დიდი ღვაწლი ქართული რომანტიზმის ისტორიაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით და პოეტის განსხვავებული ხედვის წარმოჩენით.

I თავი

საკითხის კვლევის ისტორიისათვის

მე-19 საუკუნის დასაწყისი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილია საქართველოს ისტორიულ განვითარებაში. ამ დროიდან ქართველი ხალხის ბედი დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს, დაიწყო ახალი პერიოდი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით, კერძოდ, ბოლო უნდა მოღებოდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლელ დამპყრობელთა თარეშს. საზოგადოების გარკვეული ნაწილი დიდი იმედით შეჰყურებდა ამ ფაქტს: „მეფის კარიდან დაწყებული უკანსაკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართელოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა... ამ ღირსახსოვარი დღიდამ საქართველომ, მშვიდობიანობა მოიპოვა, შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენ საცხოვრებლებს. რბევა და აკლება მიეცა წარსულს და მარტო საშინელ სახსოვრადღა

დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისთვის ჯვარცმულ საქართველოს“. (ჭავჭავაძე, 1895: 216-217).

20-იანი წლების II ნახევრიდან გამოცოცხლება დაეტყო საზოგადოებას. პოლიტიკურად აუტანელმა პირობებმა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება გამოიწვია. ცნობილია გლეხთა ფართო მასშტაბის რამდენიმე აჯანყება (1802 წ. კახეთის თავადაზნაურობის აჯანყება, 1804 წ. მთიულეთის, 1810-1819 წ. იმერეთის, 1812 წ. კახეთის), რაც უკვე აშკარა გამოხატულება იყო იმისა, რომ ქართველი ხალხი არ შეურიგდებოდა თვითმპყრობლის კოლონიურ უღელს. მასობრივი აჯანყებები მხოლოდ დროებით წყდებოდა და კვლავ ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე.

მე-19 საუკუნის საქართველოში საერო-სახალხო აჯანყებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის პოლიტიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, რადგან ემსახურებოდა საზოგადოების გამოფხიზლებასა და არსებული ვითარების მძაფრად შეგრძნებას. შედეგად მივიღეთ განმათავისუფლებელი იდეებით გულანთებული მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაც თავიანთი შემოქმედებით გამოხატეს შეურიგებლობა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ. ამ დროს სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიან: ი. ბატოიშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. რაზმაძე. 30-იანი წლებიდან კი მოღვაწეობენ დ. მაჩაბელი, ნ.ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი და მ. თუმანიშვილი.

ქვეყნის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენა იყო 1832 წლის აჯანყება. შეთქმულებამ უაღრესად დიდი გავლენა იქონია იმ პერიოდის ლიტერატურაში, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. მწერლობა გაიჟღინთა თავისუფლებისაკენ სწრაფვის იდეით.

„დაირღვა ხალხში გამეფებული მდუმარება და უნებლიედ ამოხეთქა დაგროვილმა ბოღმამ, ცხოვრებამ თავისი უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით

თვალახილებულნი, აქეთ-იქით მიმოახედა, ყოფილსაც თვალი გადაახედინა და არსებულსაც. მოიკითეს - რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება და გული მაშინდელის ყმაწვილ-კაცობისა. მოძრაობამ შეჰკრა ბრწყინვალე წრე გონება-გახსნილ ახალგაზრდობისა, რომელთაც სახელოვნად იჩინეს თავი ჩვენს ლიტერატურაში... ამ მართლად ბრწყინვალე წრეში ტრიალებდა სულითა და გულით ვახტანგ ორბელიანი და, რა თქმა უნდა, მის სიყრმიდანვე გამოყოლილს სიყვარულს სამშობლო ქვეყნისა ამ წრეში უფრო აესხმოდა ფრთები, უფრო დიდი სიგრძე სიგანე მიეცემოდა“. (ჭავჭავაძე 1991:568)

რუსეთის მთავრობამ შეთქმულების აღმოჩენისთანავე მისი მონაწილენი გაასამართლა, უმეტესობას გადასახლება მიუსაჯა შორეულ გუბერნიებში (მათ შორის იყო ვ. ორბელიანის ოჯახიც. ვახტანგი, მისი ძმა დიმიტრი და დედა თეკლე გადასახლებულნი იყვნენ ქ. კალუგაში).

„ისტორიული ძეგლები და დოკუმენტები მრავლად იძლევა საბუთებს იმისას, რომ ქართველი მოღვაწენი ტყვეობასა და გარდახვეწილობაშიც კი არ მიეცნენ სასოწარკვეთილებას, მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, ომში გადატეხილ ხმალს სცვლიდნენ ხელოვნების კვერთხით, არ აგდებდნენ კალამს ხელიდან, განაგრძობდნენ შემოქმედებით საქმიანობას და ეწეოდნენ ეროვნულ თვითშეგნების გაღვიძების პირდაპირ თუ ფარულ პროპაგანდას“ (კოტეტიშვილი, 1959: 24).

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-კულტურული ვითარება იყო საზოგადოების მოაზროვნე ფენა არ ნებდებოდა. მათი სწრაფვა თავისუფლებისაკენ თანდათან ფართოვდებოდა. უკვე 30-იან წლებში საფუძველი ეყრება ქართულ პერიოდულ პრესას, გამოდის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს 1832 წელს გამოსულ ჟურნალს „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“, რომელიც ცდილობს ემსახუროს საქვეყნო საქმეს, გამოაცოცხლოს საზოგადოებრივი ცხოვრება. 40-იან წლებში ქართველ მოღვაწეთა მესვეურობით

გაიხსნა პირველი კერძო ბიბლიოთეკა, რაც ქვეყნისთვის დიდი მოვლენა იყო. 50-იან წლებში გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრება.

ამავე პერიოდის მწერლობისთვის დიდი შენამატი იყო გ. ერისთავის ჟურნალი „ცისკარი“ რომლის შესახებაც ილია წერდა: - „მართალია, მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხანმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპატიება, როგორც ახალ საქმეს, ჯერ უჩვეულო და უასაკოს. ისიც მართალია, რომ არც მის შემდეგ ცისკარს გამოუჩენია რაიმე თავი შესანიშნავად, ჩვენთა აზრთა ზრდაში ადგილი არ დაუჭერია. ხოლო მის კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ მარტო არსებობაც ღვაწლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში, როგორშიც იყო ცისკარი. ბევრი ავი დღე გამოუვლია, ზოგჯერ იმისგან, რომ მეშეველი მწერალი არა ჰყოლია და მარტოსათვის ჟურნალის ტვირთი მართლა რომ ღვაწლია, და ზოგიც იმისგან, რომ სახსარიც კი არსებობისა არა ჰქონია. მაინც კარგა ხანს დაიჭირა თავი და თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმაწვლ მწერლებს, რომლთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დასკვნას. (ჭავჭავაძე, 1953:221).

60-იანი წლებიდან იწყება აქტიური ბრძოლა ბატონყმობისა და თვითმპყრობლების წინააღმდეგ. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ე.წ „თერგდალეულები“. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. „ცვლილებები მოხდა განათლების სფეროში. შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, გაიხსნა სკოლები, განახლდა ძველი და აშენდა ახალი ევროპული ტიპის მრავალი სასწავლო ცენტრი“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1979:20).

ამ პერიოდის მწერლები მიზნად ერის გამოფხიზლებას ისახავდნენ. ერთ-ერთი ამათგანი გახლდათ ვახტანგ ორბელიანი, პოეტი-რომანტიკოსი, ერეკლე მეორის უმცროსი ასულის თეკლე ბატონიშვილის ვაჟი, რომლემაც „მთელი ცხოვრება სათუთად

გაატარა, სიყრმიდანვე შეისისხლხორცა თავისი ქვეყნის სიყვარული და სიონის ტაძრის ლოდქვეშ ჩაიყოლა ოცნება თავისუფალ საქართველოზე...” (აბზიანიძე, 2009:139).

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა 1812 წლის 5 აპრილს. პოეტს დაარქვეს სახელი ვახტანგი მამის საპატივცემულოდ, რომელიც მის დაბადებამდე რამოდენიმე თვით ადრე შეეწირა კახელ გლეხთა აჯანყებას. მომავალი პოეტის მამა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, სწორედ ამიტომ კახეთის გლეხთა აჯანყების დროს იგი მარკიზ პაულიჩს ახლდა და მოჰკლეს ერთ-ერთ ბრძოლაში. დედა მომავალი პოეტისა, თეკლა ბატონიშვილი, საქართველოს მეფის ერეკლე II-ის საყვარელი ასული იყო.

მამით ობოლი ვახტანგ ორბელიანი თავის ორ ძმასთან ალექსანდრესთან და დიმიტრისთან ერთად იზრდებოდა დედის უშუალო მზრუნველობის ქვეშ.

ვახტანგ ორბელიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენდა ოჯახურ წრესთან ერთად, ის საზოგადოებრივი გარემო, რომელშიც პოეტი იმყოფებიდა. ამ ეპოქაში მკვიდრდებოდა ახალი მართვა-გამგეობა, რამაც ძირი გამოაცალა ძველ, ტრადიციულ ცხოვრებას. ძველის შეცვლა ახლით ქვეყანამ და საზოგადოებამ მტკივნეულად განიცადა. ამ გარდატეხის ეპოქის გამო ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვახტანგ ორბელიანი დაიბადა და გაიზარდა იმისთანა დროს, როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ზედ ეჩნეოდა წყლულნი და დაკოდილებანი მეთვრამეტე საუკუნისა, და მეცხრამეტე საუკუნის ქარს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი მწუხარება და სასოწარკვეთილება. ჯერ კიდევ თითოეულ ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წ. 11 სექტემბერს, სოღანლუღში, კრწანისის ბაღებთან და წამების სახელოვანი გვირგვინი იმ ქვეყნისათვის თავგანწირულ მამულიშვილებს.“ (ჭავჭავაძე, ტ. III, 1953:235)

ვახტანგ ორბელიანი 13 წლამდე ოჯახუ გარემოში, დედის უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდა. პოეზიის თაყვანისმცემელი და და თვითონ პოეტი

მეფის ასული შვილებს შთააგონებდა ერისა და ქვეყნის სამსახურს, სამშობლოსადმი ერთგულებასა და და მის დიდ წარსულისადმი პატივისცემას. მომავალი პოეტი შინ გაიწავთა ქართულ წერა კითხვაში და აქვე ასწავლიდნენ მას ფრანგულ ენას. შემდეგ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა, თუმცა სწავლა არ დაუმთავრებია. 1825 წლის ბოლოს მომავალი პოეტი პეტერბურგის პაჟთა კორპუსში ჩაირიცხა, მაგრამ მას არც ამ სასწავლებლის კურსი დაუმთავრებია. სუსტი აგებულების ვახტანგ ორბელიანმა ვერ აიტანა ჩრდილოეთის სუსხიანი და მკაცრრი ჰავა. იგი ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც დედამ ჯერ ხანგრძლივი შვებულებით ჩამოიყვანა სამშობლოში, შემდეგ კი მას სწავლა აღარ გაუნაგრძია და ამით დამთავრდა მისი სასკოლო განათლება.

ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიას ავსებს და განათლებაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მისი ჩვენება, რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობის გამო მისცა მთავრობის კომისიას 1833 წლის 6 თებერვლს. ახალგაზრდა პოეტი თავის პასუხში წერდა:

„სწავლა დავიწყე პირველად შინ დედაჩემთან, შემდეგ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ვსწავლობდი. 1827 წლის დეკემბრის 26-ს კი გავემგზავრე პეტერბურგში და 1828 წელს ვაჟთა კორპუსში შევედი, საიდანაც ავადმყოფობის გამო 1829 წელს მივიღე შვებულება ჩემი სენის განკურნებამდე. პეტერბურგში 1828 წლის თებერვლიდან 1829 წლის 6-ს სექტემბრამდე ვიმყოფებოდი, ხოლო სექტემბრის 6-ს გამოვემგზავრე იქიდან ექიმების რჩევით, რომლებიც ჩემს სენს უკურნებლად სთვლიდნენ, თუ რამოდენიმე ხანს თბილ მხარეში არ გავატარებდი. მოსკოვზე გამოვიარე, იქ ხუთი დღე გავჩერდი და თბილისში 1829 წლის ოქტომბრის 6-ს ჩამოვედი.“ (გოზალიშვილი, ტ. II, 1970:234)

როგორც პოეტის ჩვენებიდან ირკვევა, მას არც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში და არც პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სწავლა არ დაუსრულებია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოეტის სურვილით არ იყო განპირობებული, პირიქით ცხოვრების დინებამ აიძულა უარი ეთქვა სწავლის გაგრძელებებზე. გადმოცემების მიხედვით, პოეტი ბავშვობიდანვე ბეჯითი, ცოდნას მოწყურებუული ყოფილა განსაკუთრებით ყვარებია წიგნების კითხვა და ხშირად თანატოლებში ყოფნასაც კი ამჯობინებდა. მომავალი ყმაწვილი პოეტი დაეწაფა თვითგანათლებასა და დროის უმეტეს ნაწილს ქართულთან ერთად უცხოური წიგნების კითხვაში ატარებდა. „ვახტანგ ორბელიანის ყრმობის მეგობარი, კ. მამაცაშვილი, იგონებს, რომ 1830-1831 წლებში, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა ვახტანგი თავის გონიერებით, განვითარებითა და გარეგნული მიმზიდველობით ირჩეოდა თავის ტოლებში და ქართულ საზოგადოებაში“. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, 1972:243)

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვახტანგ ორბელიანს თუმცა მხიარულობა და საზოგადოებაში ყოფნა ჰყვარებია, მაგრამ ამაზე მეტად უფრო ჰყვარებია წიგნების კითხვა, ნამეტნავად საფუძვლიან და გამორჩეულ წიგნებისაო. ამას უნდა მივაწეროთ ის ამბავიც , რომ, მის სწორ-ამხანაგთა სიტყვით, იგი ყოველთვის ირჩეოდა თურმე მაშინდელ ყმაწვილ-კაცთა შორის თავის ცოდნით და გონება გახსნილობითაო. ეს სიყვარული წიგნთა კითხვისა არ მოჰკლებია სიკვდილამდე.“ (ჭავჭავაძე, ტ. III, 1953:232-233)

პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებული ახალგაზრდა პოეტი 1832 წელს შეთქმულებაში ჩაება და მისი გულანთებული მიმდევარი გახდა.

როგორც ვიცით შეთქმულების გამომჟღავნების პირველსავე დღეებში ვახრტანგ ორბელიანის ოჯახი - დედა და ძმები - დააპატიმრეს. კვლევა ძიების - შემდეგ ვ. ორბელიანი დამნაშავეთა პირველ კატეგორიაში ჩაირიცხა. ვახტანგი, მისი ძმა დიმიტრი და დედა თეკლე გადასახლებული იყვნენ ქალაქ კალუგაში.

ისტორიული წარსულისა და მწერლობის უბადლო მცოდნე, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული თეკლე ბატონიშვილი იყო პირველი აღმზრდელი და გეზის მიმცემი

თავისი ვაჟიშვილებისა. მცირეწლოვან ვახტანგს სწორედ დედა მოუთხრობდა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების სასახელო ეპიზოდებს, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების მოწამეობრივ ცხოვრებას, მებრძოლი მეფის, ერეკლე II ომებსა და თავგადასავალს. შვილებს შთააგონებდა ერისა და ქვეყნის სამსახურს, მამულის ერთგულებასა და წარსულის პატივისცემას. სწორედ ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებებითაა ნაკარნახევი პოეტის სულშიჩამწვდომი სტრიქონები:

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:
„ურწმუნოდ მამულს არ მივცემო არ და არა!“ “

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:15)

ვახტანგ ორბელიანმა საკმაოდ მკაცრი სასჯელი მოიხადა: 1832 წლის დეკემბრიდან ჯერ ავლაბრის ყაზარმებში იჯდა, ხოლო შემდეგ ოთხი წელიწადი გადასახლებაში გაატარა. განსაკუთრებით მძიმე და მთელ ცხოვრებაში დაუვიწყარი იყო მისთვის გადასახლების წლები.

ვახტანგ ორბელიანი გადასახლებიდან 1837 წელის ბოლოს დაბრუნდა, ხოლო 1838 წელიდან იგი სამხედრო სამსახურში შევიდა. მისი სამხედრო კარიერა დაბალი ჩინით დაიწყო. იგი პირველად პრაპორშჩიკი იყო. 1858 წელს ვ. ორბელიანმა პოლკოვნიკის წოდება მიიღო, ხოლო 1860 წელს იგი გენერალ - მაიორი გახდა.

ჩვენმა რომანტიკოსმა სამხედრო სამსახურში იმსახურა 1881 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში ხშირად დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობასაც ასრულებდა.

1858 წელს ვახტანგ ორბელიანი ყუბანის მაზრის მმართველად იყო. 1860 წლიდან თერგის მხარის უფროსის თანამდებობას ასრულებდა ხოლმე დროგამოშვებით, ხოლო

ბატონყმობის გააუქმების შემდეგ იგი მომრიგებელი მოსამართლე იყო. 1881 წელს იგი სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა.

1890 წლის 29 სექტემბერს ვახტანგ ორბელიანი გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

ვახტანგ ორბელიანის მეუღლე იყო ვასილ ილინსკის ასული, ეკატერინე ილინსკი, რომელთანაც მას შეეძინა ერთად ერთი ქალიშვილი, მარიამი, შემდეგში გამოჩენილი საზოგადო მოვაწე და პოეტიც.

1890 წელს ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალების გამო ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ 30 სექტემბრის ნომერში იუწყებოდა: „კიდევ ერთი სახელოვანი კაცი გამოაკლდა ჩვენს ღარიბს ლიტერატურას! ჩვენდა სამწუხაროდ, გუშინ , დილის 4 საათზე, თბილისში გარდაიცვალა ჩვენი ტკბილად მთქმელი პოეტი, ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურიან ორბელიანი. ამისთანა კაცის დაკარგავა საყოველთაოდ სამწუხარო და სამგლოვიაროა. ნუგეშად მხოლოდ ის გვრჩება, რომ მისდა სახსენებლად იქნება მისი ლექსები და იქ ღმერთი განუსვენებს მართალთა თანა!“...

გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, 1894 წელს, დაიბეჭდა ვახტანგ ორბელიანის ნაწერების კრებული, იმ შემთხვევის გამო, ავტორისა ოჯახის თხოვნით, პოეტის ბიოგრაფიის დაწერა ილია ჭავჭავაძემ იკისრა, ამიტომ ილიას დამოკიდებულება ვახტანგ ორბელიანისადმი განსაკუთრებულად საყურადღებოა. ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია დღემდე რჩება როგორც ისეთი ნარკვევი, რომელზეც მეტი შემდგომი დროის კვლევა-ძიებასაც ვერ მოუცია.

„ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია ნათლად ასურათხატებს თითქმის მთელს XIX საუკუნეს, ხოლო შემოქმედება ქართული რომანტიზმის განუყოფელი ნაწილია, ნასაზრდოები თავისი დროის სულისკვეთებით“ (აბზიანიძე, 2009:1).

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი ვ. ორბელიანს ქართული პატრიოტული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევდა. იგი წერდა: „ვახტანგ

ორბელიანი საუკეთესო წარმომადგენელია პატრიოტული რომანტიზმისა. ამ მიმართულების შეთვისებაში მას ხელი შეუწყვეს როგორც უცხო მწერალთა გავლენამ, აგრეთვე საქართველოს მდგომარეობის და თავის ჩამომავლობის გათვალისწინებამ“. (ალ. ხახანაშვილი, 1913:115)

„ვახტან ორბელიანის ლირიკაში ჩვენ ვერ შევხვდებით გრძნობით თრობას, როგორც მაგალითად ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ვერც ღვინისა და სიყვარულის ეშხით ამღერებას, როგორც გროგოლ ორბელიანთან და ვერც შემთხვევის გამო მოზღვავებულ გრძნობათა ჭაბუკურ აფეთქებას, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილთან. მისი პოეტური მემკვიდრეობა წარმოგვიდგება, როგროც ერთი უწყვეტი გლოვა საქართველოს წარსულზე. ეს არის ის ძირითადი ნიშნები, რითაც პოეტი განსხვავდება წინამორბედი რომანტიკოსებისაგან“ (მახარაძე, 1982:231).

„როცა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებას ვეცნობით თვალწინ წარმოგვიდგება პოეტი, რომელიც გონების თვლით უყურებს სამყაროს, აკვირდება და სინჯავს მას. ლექსის ყოველი სტრიქონი ნაფიქრ-ნააზრევით არის ერთმანეთთან შედუღებული“ (მახარაძე, 1982:230).

სტატიაში „წერილები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა: „თავად ვახტანგ ორბელიანს ამ ორმოცდაათიან წლებში განსაკუთრებულ მიმართულებით თავი არ უჩენია. მან სამოციან წლებიდამ მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა და როგორც ამ წლების ხანაში, ისეც მერმე, თითქმის მარტო ერთი სფერო აუჩენია თავის პოეზიას და მით მოიპოვა სახელი და ადგილი ჩვენს აზრთა მსვლელობის ისტორიაში... მართალია, სამოციან წლებში გამოსულ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვაკუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადებას სცდილობს დღევანდელი დღე, მაგრამ ასე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ვახტანგ ორბელიანი, ამისთანა ერთგული მოყვარეც

წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. და ამიტომაც ნუ გვიკვირს, რომ ვახტანგ ორბელიანმა მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს მოახმარა და ამით განმსჭვალული ცოტად თუ ბევრად იმ სფერომდე მივიდა, რომელსაც „რომანტიზმს“ ეძახიან...“(ჭავჭავაძე, 1977:198)

ამრიგად ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიული ცნობები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ცხოვრება შემოქმედებაზე და მის მთავარ ღირებულებებზე. მისი პიროვნება და შემოქმედება არაერთმა მოღვაწემ განიხილა და უმაღლესი შეფასებაც მისცა. (მაგ.: აპ. მახარაძე, ალ. ხახანაშვილი, ი. ჭავჭავაძე...). ვახტანგ ორბელიანი გულწრფელი პატრიოტია თავისი ქვეყნისა და ნამდვილი, ღირსეული წარმომადგენელი რომანტიული სკოლის.

თავი II

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მეთოდი

და ვახტანგ ორბელიანი

ლიტერატურულ მიმართულებათა განსაზღვრა მრავალ სადავო პრობლემასთანაა დაკავშირებული. აზრთა სხვადასხვაობა, ზოგჯერ, ერთმანეთის გამომრიცხველ პრინციპებამდე მიდის. ადრეულ საფეხურზე კრიტიკოსები და თეორიტიკოსები რომანტიზმის არსის გადმოსაცემად, კლასიციზმთან დაპირისპირებული ნიშანთვისებების დახასიათებით კმაყოფილდებოდნენ.

„ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორია ქართულ ლიტერატურაში „რომანტიზმით“ იწყება. იგი წარმოიშვა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში და განვითარდა კლასიცისტურ მიმდინარეობებთან ბრძოლაში. რომანტიზმი არ იყო ერთი რომელიმე კლასის ან სოციალური ფენის ფსიქო-იდეოლოგიის გამოხატულება, მასში იმისთვის გამომჟღავნდა ორი მიმართულება: პასიური და აქტიური რომანტიზმი. თუ საზოგადოების ერთი ნაწილი გულგატეხილი და უკმაყოფილო იყო ახალი ეპოქისადმი, ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, დაკარგა ბრძოლის უნარი და მხოლოდ წარსულისკენ იხედება, ძველის აღდგენის ილუზიებით იკვებება, მეორე ასევე ახალი ცხოვრებით უკმაყოფილო, მაინც იმედით შეჰყურებს მომავალს და ინარჩუნებს ბრძოლის უნარს არსებული სინამდვილის წინააღმდეგ“ (ახალი ქართული ლიტერატურა... 1956:210).

რომანტიზმის ამომწურავი განმარტება არ არსებობს. მან თავი იჩინა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რელიგიაში, იქცა მსოფლმხედველობად და თავის გავლენის ქვეშ მოაქცია იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნება. რომანტიზმი ძირითადად დამოუკიდებლად აღმოცენდა რუსეთში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში. ყოველი ქვეყნის ლიტერატურაში რომანტიზმმა თავის სახე მიიღო, თუმცა მაინც არის საერთო ხაზები, რაც ზოგადად რომანტიზმს ახასიათებს. ბევრია მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, ყველა ქვეყნის რომანტიზმს შორის იმდენად, რამდენადაც გამოვლენას პოულობს ცხოვრების სინამდვილით უკმაყოფილო საზოგადოებაში.

ზოგადად რომანტიზმს ახასიათებს გარე სინამდვილისადმი ანგარიშგაუწევლობა და ილუზიური ოცნება, საკუთარ „მე“_ს წინა პლანზე წამოწევა.

რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი სტილური ნიშანი არის ბუნების ტრფიალი და გაიდეალება. „მიუღებელი აწმყოთი გამოწვეული ტკივილების დაყუჩებას პოეტები სწორედ ბუნებაში გასვლით ახერხებენ. რომანტიკოსისათვის „ბუნება“ მარადიული სილამაზსი სიმბოლოა, იგი არ სდევს „ჟამთა ცვლას“. პეიზაჟი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას აძლიერებს და აღრმავებს“(მახარაძე 1928:31)

„ქართველმა რომანტიკოსებმა შექმნეს სრულიად ორიგინალური და ეროვნული შემოქმედება, გამომდინარე მშობლიური ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობის ღრმად შეგნებიდან და გაანალიზებიდან. მათ უხვად ისარგებლეს ქართული ლიტერატურული ტრადიციებით და პოეტური მიღწევებით, რაც ახასიათებდა ქართულ ლიტერატურას საერთოდ და ქართულ პოეზიას კერძოდ... გრიგოლ, ვახტანგ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა ხელი შეუწყეს ეროვნული გრძნობის აღორძინებას, რაც კონკრეტული ფაქტებითა და ისტორიული მოვლენის აღწერით უზრუნველყვეს... „რომანტიზმის ნაირსახეობათა შორის (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული, ამერიკული და ა. შ.) „ქართული რომანტიზმიც“, როგორც ლიტერატურული მოვლენა, სათანადო ადგილს იჭერს. რადგანაც „ქართული რომანტიზმი“ ქართული ეროვნული სულის ნაწილს წარმოადგენს“ (ევგენიძე, 1982:37)

“ქართველ რომანტიკოსთა პოეზია გრძნობის პოეზია იყო (მგრძნობელობისა“, - ალ ჭავჭავაძის თქმით), თუმცა გრძნობა ძირითადად არ გასცილებია იმ საარსებო პირობებს, რომელშიც ჩვენი პოეტები იყვნენ მოქცეულნი. ამიტომაა, რომ მგრძნობელობასთან ერთად ქართულ რომანტიკულ ლიტერატურაში უხვად ჩანს ნამდვილი სინამდვილით გამოწვეული სურათები, აზრები და ფიქრები. ალბათ ეს მოვლენა იყო მიზეზი იმისა, რომ ქართული ლიტერატურის შემდეგმა განვითარებამ ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედება მიიღო როგორც შემადგენელი და ორგანული ნაწილი თავისი საკუთარი შეხედულებებისა და გაიაზრა კიდეც ბევრი რამ, რაც

რომანტიკოსთა მხატვრული აზროვნების დამხასიათებელი იყო“. (ქართველი რომანტიკოსები, სოლომონ ხუციშვილი, 1978:31)

რომანტიზმის, კერძოდ, ქართული რომანტიზმის, არსი ძირითადად მაინც, იმ პერიოდშია საძიებელი, როცა ის წარმოიშვა და დამკვიდრდა, როგორც ლიტერატურული მიმართულება. ყოველივე ეს კი თავისებურად მჟღავნდება ისტორიული პიროვნების ფსიქოლოგიაში.

„ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სწრაფად მიმდინარეობს ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. აქედან დაწყებული ქართულ ლიტერატურაში პატრიოტიზმი ღრმავდება, ფართოვდება და ეროვნული მოძრაობის ფორმას ღებულობს. ამიტომ მებრძოლი პატრიოტიზმის იდეა, რაც ჩვენს ლიტერატურას V საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნის ნახევრამდე ახასიათებდა, ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით შეიცვალა. თერგდალეულების ხელმძღვანელობით ეს მოძრაობა გამოვლინდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის რომანტიკულ ლიტერატურაზე და მომავლის პერსპექტივებით გამსჭვალა იგი... რასაკვირველია, XIX სააუკუნის მეორე ნახევრის რომანტიკოსთა შემოქმედებაში ეროვნული საკითხი ძირითადად წოდებრივი ასპექტითაა წარმოდგენილი, მაგრამ ისინი ცდილობენ და ზოგჯერ აღწევენ კიდეც ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დონემდე ამაღლებას და თავიანთი პოეტური ხმის ახალი თაობის იდეალებისათვის შერწყმას“. (ჟღენტი, 1965:20)

„ქართულ ზეპირსიტყვიერებას, მწერლობას მუდამ თან სდევდა რომანტიკული გრძნობა, რომანტიკული განწყობილება. იგი, ისევე როგორც სენტიმენტალური, კლასიცისტური, რეალისტური და ა. შ. განწყობილება, დამახასიათებელია, ყველა ეროვნების ადამიანის ბუნებისთვის და ყველა ეპოქისათვის, რის გარეშეც, ვერც ხელოვნებაში იპოვიდა დასაყრდენს. ყველაფრის სათავე და პირველწყარო თვით

სოციალური, ისტორიული ადამიანის ბუნებაა, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულებაა. უამისოდ შემოქმედებასთან არც გვექნებოდა საქმე“ (ალექსანდრე კალანდაძე, 1986:81).

ჟანრების თვალსაზრისით რომანტიზმი მრავალფეროვანია . აქ მოცემულია, ლირიკა, პოემა, პროზა, დრამატურგია. თუმცა ქართული რომანტიზმი ძირითადად მაინც ლირიკაშია წარმოდგენილი. მეტი სიცხადისთვის გავეცნოთ ტიპიური რომანტიკოსის ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას.

იგი დასტირის წარსულის დამხობილს დიდებას, მაგრამ არც იმას გვიმალავს, რა ჭირი და ვაგლახი გადახდენია საქართველოს:

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,

გმირთა აკლდამა, გულთასაკლავი და სავალალო.“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:15)

თავის კრიტიკულ გამოკვლევებში კიტა აბაშიძე ხოტბას ასხამს ვახტან ორბელიანს, ილია ჭავჭავაძემ კი საგულისხმო ადგილი მიაკუთვნა რომანტიკოს პოეტს: „უმთავრესი კილო თავად ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა - წერდა ილია, - ერთი გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თვითონ სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თვითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული,,(ჭავჭავაძე, 1977: 201).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მიმოხილვა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რომანტიზმზე. კერძოდ, კი გვაცნოს ქართული რომანტიზმის გავრცელების თავისებურებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რთული პოლიტიკური ვითარება იყო, ლიტერატურა არ მომკვდარა, პირიქით, ქართველი რომანტიკოსები მთელი ძალით ამდიდრებენ ჩვენს ლიტერატურას. ერთ-ერთი ამათთაგანი გახლდათ ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც დიდი და წარუშლელი კვალი დაგვიტოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

თავი III

პოეტისა და პოეზიის დანიშნულებისათვის

უნდა გაირკვეს ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების გენეზისის საკითხი, რაც ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დაუზუსტებელია. ვახტანგ ორბელიანის პოეტურ კალამს ფეხი აადგმევინა და მის პოეტურ აღმაფრენას ფრთა შეასხა ჭაბუკი პოეტის - სამშობლოდან გადასახლების ფაქტმა. მისი პოეტური მოღვაწეობა, როგორც აღნიშნულია ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში, 70-იანი წლების II ნახევრიდან იწყება.

„პროფ. ალ. ხახანაშვილი „პოეტის შემოქმედების ისტორიას იწყებს 1857 წლიდან, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ (№1) დაიბეჭდა ლექსი „ბულბული“, 1858 წელს დასწერა „მიმსგავსება ვიქტორ ჰიუგოსი“, 1859 წელს „იმედის“ ნაწყვეტი და ამით მთავრდება მისი შემოქმედება 1866 წლამდე, როდესაც დაიწერა „ძველი დმანისი“. დანარჩენი ლექსები კი დაიწერა 1879-1890 წლებში, სწორედ მან აღნიშნა, რომ ვახტანგ ორბელიანი სდგას რომანტიკული და რეალური პოეზიის შუა“. (ზანდუკელი. 1972:348) .

ამგვარად, ვახტანგ ორბელიანის მხატვრული აზროვნება და ლიტერატურული მოღვაწეობა ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ლაიტმოტივი სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, პატრიოტიზმის იდეაა. მის პოეზიაში განსაკუთრებული სიმკვეთრითაა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიული წარსული.

„პოეტის პატრიოტული ლირიკის სათავედ მიჩნეულია ალექსანდრე ჭავჭავაძისა „გოგჩა“ და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“. ამას გარდა შეიმჩნევა დასავლეთ ევროპული რომანტიზმის გავლენის კვალიც. პატრიოტული ლექსების უკან ჩანს

მგზნებარე პოეტი, რომლიც თავისი ქვეყნის მცირე სუნთქვასაც კი ძლიერ განიცდის. მისი გრძნობა მართალია და წრფელი“ (ახალი ქართული ლიტერატურა, 1956:155)

„ჩემთვის ათს საუკუნეს ჩემს ძეს - ერს უბრძოლია,
ეს ჩემი მკერდი - გული მის სისხლით მორწყულია!“

(ორბელიანი, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, 1949:83)

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი „უგზო-უკვლოდ დაეხეტება“, როცა მას დააშორებენ. „დახშული გულით“ დადის ამ ქვეყნად და არაფრად აგდებს სხვა რაიმე მშვენიერებას. მწარე სევდა და ნაღველი ასუსტებს და კლავს, შრეტს მის სულს.

ასე საოცრად გადმოსცემს ვახტანგ ორბელიანი ყოველ დადებით თუ უარყოფით რეაქციას თავისი ქვეყნისას, თითქოს სამშობლო მის არსებაშია მოქცეული:

„როდასაც, მშვენიერებავ, შენს გულში ჭმუნვა ტრიალებს
ვით მარგალიტი, შენს თვალში ობოლი ცრემლი ელვარებს.
ფერმკრთალი, დაღონებული დაბლა ხარ თავით მიხრილი.
ვარდის ბაგეზედ არ გიჩანს ციური შენი ღიმილი, -

. . . . . .

მაგრამ, როდესაც ის ჭმუნვა გულიდან გადაგეხდება,
მაგ მშვენივრის სახითგან მის ბუნდი გადაგეყრება, -
მაშინ მსწრაფლ უფრო მდიდარის შვენებით გაიფურჩნები
 და უფრო ნაზის და ტკბილის ღიმილით გამობრწყინდები,
საუბრობ უფრო ტკბილის ხმით, გისმენენ აღტაცებითა;
გიმზერენ ვეღარ ძღებიან ციურის სახის მზერითა!“

(ორბელიანი, „როდესაც მშვენიერებავ“, 1949:8)

ლექსიდან ნათლად ჩანს, რომ პოეტი მთელი არსებით იზიარებს თავისი ქვეყნის მდგომარეობას, ისე კარგად იცნობს მას, რომ იცის როგორია ბედნიერების, თუ დამწუხრების ჟამს. მისი პოეზიის ძირითადი ობიექტიც სწორედ ეს არის - „სამშობლო“,

თავისი წარსულითა და აწმყოთი, რაზედაც შეუძლია უსასრულოდ ისაუბროს, ისე რომ არ მობეზრდეს რადგან იცის, რომ იგი უმშვენიერესია „მშვენიერ დასთა შორის“:

„მაგრამ ვით ცაში ვარსკვლავთ შუა არის მთოვარე,
ვით მისგან მხოლოდ განათლდება ცის კიდე არე,
ეგრეთ მათ შუა არის ერთი; მას არვინა ჰგავს.
მასზედ მადლითა ღვთისა თვალსა გარდმოუხედავს:
ყოვლის სიკეთით ბუნებისგან არის შემკული.
ყოველი არის მასში ზენა, არს ღმერთა სრული!“

(ორბელიანი, „მშვენიერთ დასნი“, 1949:12)

შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ორბელიანმა უარყო პოეზიის ყველა თემა და მხოლოდ სამშობლო ქვეყნის სიყვარულის იდეას შემოევლო. მან არ მიიღო მუხამბაზის კილო, რომელიც მას უდარდელობის ხმად ეჩვენებოდა.

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა- ბაზრისა:
იმ კილოთი რა იმღერო პოეტო
თუ არ ღვინო ტოლუბაში და კინტო,
მათ დუდუკი დიპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა ყიჟინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი
მუხამბაზით სხვა რას იტყვით მითხარი?“.

(ორბელიაანი, „პოეტს“, 1949:149)

ვახტანგ ორბელიანმა მის მიერ დაწუნებულ მუხამბაზის კილოს თავისი საკუთარი კილო დაუპირისპირა. ეს არის კილო დარბაისლური, კილო რუსთაველისა, რომელიც კლასიკური ქართული ლიტერატურის უდიდესი ნიმუშია. ეს არის შედევრი, რომელზედაც იზრდებოდნენ და დესაც იზრდებიან ახალი თაობები:

„მე მომეცი კილო რუსთაველისა
გაფურჩქვნილი ვით ყავილი ველისა
მოკამკამე როგორც წყარო მცინარი
ვით მდინარე მშვენივრად მომდინარი.“

(ორბელიანი, „პოეტს“, 1949:149)

პოეტს რუსთაველის კილო ეჩვენებოდა მომხიბვლელად, რომლითაც სულ სხვა „სურათები“ იწერებიან და განსაკუთრებით კი ბუნების სიდიადე. ამ ნატურის დახატვა ჩვენს პოეტს მიაჩნია პოეზიის უმაღლეს დანიშნულებად.

„იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათნი,
დაგვანახე ველნი, ბორცვნი და მთანი;
მაღლა ზეცა ქვეშ ზღვა განუსაზღვრელი;
მთლად ბუნება დიდად გასაკვირველი.“

(ორბელიანი, „პოეტს“, 1949:149)

თუმცა ამას გარდა პოეტი იქვე გვისახელებს წარსულის გმირებს, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ჩვენს სამშობლოს, გვიხატავს, საზარელი ბრძოლის სცენებს, რათა ჩვენთვის ნათელი და დაუვიწყარი იყოს მათი ღვაწლი. ჩვენ, კი გავითავისოთ ჩვენი ვალდებულება სამშობლოს მიმართ.

„სხვანიც დიდნი საგანნი გაქვს, პოეტო;
გმართებს ძველ დროთ გმირნი გამოგვიხატო,
მამულისთვის მათ ბრძოლა საშინელი,
ბრძოლის გრგვინვა, საზარო ბრძოლის ველი.“

(ორბელიანი, „პოეტს“, 1949:149)

ვახტანგ ორბელიანი, როგორც რომანტიკოსი პოეტი მხოლოდ სამშობლოს შესახებ წერით არ შემოიფარგლება და თავის სამწერლო პროგრამას აფართოვებს. მან იცის რომ პოეზია სიყვარულის გარეშე ვერ იარსებებს, სიყვარულია მთავარი ძალა

პოეტის შემოქმედების, ამიტომ ქალს უშვებს პოეზიის წმინდა ქვეყანაში, მხოლოდ ერთი პირობით:

„დაგვანახვე ასული მშვენიერი,
სახეს უჩნდეს გულის ჭმუნვა ძლიერი,
იყოს ვარდი, ავდრისგან ფერმიხდილი,
და ყვავილი ავდრისგან თავმიხრილი.
ნაზი, ტურფა, მშვიდი და წმინდა გული,
მაგრამ მთელის არსით შეყვარებული.“

(ორბელიანი, „პოეტს“, 1949:149)

ქალის სახე ქართულ პოეზიაში უცხო არაა. სხვათა შემოქმედებაშიც მრავლად გვხვდება მშვენიერი ასული. უდიდესი რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა: „მიყვარს თვალები მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით მოქანცულები-ო“. პოეტი აქაც გვიხატავს მშვიდი, ნაზი, გაწონასწოებული ქალის სახეს, მაგრამ სხვაობაც ნათელია, პოეტს იზიდავს ეშხიანი ქალის სახე და არა, მშრალი, გამოფიტული ვნებაგამქრალი გარეგნობა. ვახტანგ ორბელიანის თვალთახედვით იდეალური ქალი დხატულია, როგორც არაამქვეყნიური, წმინდანის შარავანდედით შემოსილი, რომელიც დიდებული მომავალის მაუწყებელია. მას პოეზიის საგნად მხოლოდ ისეთი ქლი უნდა, რომ

„შილერისა ჰგავდეს ამელიასა,
ან შექსპირის ციურს ოფელიასა“.

(ორბელიანი, „პოეტს“, 1949:149)

„ესეიგი რბილი და მორჩილი არსება, მოსიყვარულე მაგრამ ყოველგვარ ეროტიულ ვნებიანობის გარეშე. რაღაც ეკლესიური კილო ისმის ამ სიტყვებში, რაღაც დიდაქტიკა. გონება, აზრი გამოდის როგორც კანონმდებელი და მოვლენათა შემრჩევი და გამწესრიგებელი. ამ სტრიქონებიდან მოღლილი ადამიანის ხმა ისმის, რომელსაც ყველაფერი წართმევია და დარჩენია მხოლოდ ერთი დასაყრდენი პუნქტი. წაართვით

მას ეს უკანასკნელი ნავთსაყუდელიც და ქვეყანას მისთვის დაეკარგება ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა. ჩადაევი წერდა პუშკინს: „მე მაქვს მხოლოდ ერთი აზრი. ჩემს ტვინში შემთხვევით, რომ სხვა იდეებიც აღმოჩენილიყვნენ, რასაკვირველია, ისინიც იმ ერთ იდეას მიეკედლებოდენო“. ასე ემართებოდა ვახტანგ ორბელიანსაც. მისი ერთადერთი იდეა იყო საქართველო, ყველა სხვა მოტივი შემთხვევითი ხასიათისა არის, და ისე, რომ იმ მთავარ იდეას ევლება“. (კოტეტიშვილი, 1959:149-150)

უკვე განხილული ლექსი „პოეტს“, ერთგვარად გვიყალიბებს ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურულ შეხედულებებს, რომელიც მის ცალკეულ ნაწერებშია გამოთქმული. ასევე გვეხმარება, რომ სწორად გავიგოთ მწერლის მხატვრული შემოქმედება. ამ ლექსში პოეტი აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს პოეტის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, პოეტურ სტილზე და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ „პოეტს“, ვახტანგ ორბელიანის საპროგრამო ლექსია, რომელშიც გადმოგვცა მთელი თავისი პოეტური მრწამსი.

იქედან გამომდინარე, რომ პოეტის შემოქმედება ზედაპირულად მიმოვიხილეთ, გარკვეულწილად შევეხეთ მისი შემოქმედების ძირითად თემებს, შეგვიძლია გამოვყოთ ის მთავარი საკითხები, რომელზედაც პოეტი აქცენტს აკეთებს და დავყოთ ქვესათაურებად რათა უფრო თვალსაჩინო და იოლად აღსაქმელი გახდეს მისი შემოქმედება:

1. ეროვნული მოტივი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში,
2. წარსულის ხსოვნა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში,
3. რელიგიურ-მორალისტური ნაკადი,
4. სოციალურ დიდაქტიკური თემატიკა.

თავი IV

ეროვნული მოტივი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში

ვახტანგ ორბელიანი მოღვაწეობდა ეპოქაში, როდესაც ლიტერატურაში ინერგებოდა ახალი ელემენტები შემდგომში რეალიზმის სახელით დამკვიდრებული, ამიტომაც მისი შემოქმედება რომანტიზმის უკანასკნელი გამოძახილია და ახლოსაა რეალიზმთან. პოეტი პირად გრძნობებთან ერთად გადმოვგცემს საზოგადოებრივ სახალხო კვნესასა თუ სიხარულს. მისი პოეზია არის გედის სიმღერა რომანტიულის პოეზიისა და მერცხლის ჭიკჭიკი ახალი, რეალისტური პოეზიისა. სწორედ ამ ეპოქის შვილია ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება სამშობლოს მიუძღვნა.

როდესაც ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში სამშობლოს თემას განვიხილავთ გვახსენდება მისი გადასახლების პერიოდი. ოთხი წელი გაატარა ვახტანგ ორბელიანმა გადასახლებაში და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია საყვარელი სამშობლო, რომლის თავისუფლება და ბედნიერება პოეტის უწმინდესი საოცნებო იყო. ამავე წლებს ეკუთვნის ვ.ორბელიანის პირველი პოეტური ცდები.

1834 წელს ვ.ორბელიანი წერს ლექსს „გამოსალმება“. ამ პატარა ლექსში ამოიკითხება უდიდესი, წრფელი სიყვარული სამშობლოსი და მასთან ერთად განშორების ტრაგედია, რომელიც სულიერ ტკივილს ამძაფრებს. პოეტი ემშვიდობება

სამშობლოს და დიდებული ფერებით გვიხატავს მის „ზურმუხტ ველებს“, „ცად მიბჯენილ მთებს“.

„მშვიდობით ველნო საყვარელო ზურმუხტნო ველნო!
ბორცვო, ჭალაკნო მშვენიერო, ტურფა არენო,
მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცად მობჯენილნო,
წყალნო ალმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო.“

(ორბელიანი, „გამოსალმება“, 1949:3)

პოეტი მძიმე განცდებით ეთხოვება თავის მშობლიურ მიწა-წყალს, მტკიცე ფიცს სდებს, რომ არასოდს დაივიწყებს თავის საყვარელ სამშობლოს და მარად იქნება მისთვის თვალსადებად.

„მშვიდობით, ჩემო გამზრდელო, ჩემო მამულო!
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...
გმირ ძეთა სამარეე, იმათ წმინდა სისხლით მორწყული,
სად გინდა ვიყო, რაც გინდა ვიყო, ვარ შენი შვილი!_“

(ორბელიანი, „გამოსალმება“, 1949:3)

გადასახლებაში მყოფი ახალგაზრდა პოეტის სამშობლოსთან დაშორების მძაფრი განცდა და მაღალი პატრიოტული მისწრაფებანი თავის პოეტურ გამოსახულებას პოულობენ კალუგაში დაწერილ ლექსებში. გულდათუთქული პოეტის ღრმა სულიერი ღელვა გადმოცემულია ლექსში „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“. სამშობლოსაგან შორს ყოფნა პოეტს წყვდიადში ყოფნად ესახება. მის გულს ვეარაფერი ახარებს. დღე და ღამე მისთვის ერთნაირი შექმნილან.

„განდევნილს შორსა, შეუწყნარსა ამ წყვდიადს მხარეს,
გული ძლივს მიძგერს, ვეღარ ვუმზერ შენს ნათელ სახეს!

რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს ყოფნით შენით,
ის იცის ღმერთმა მაღლა ერთმა, არ ითქმის ენით
ახლად შემოსულს ამა სოფლის მწრეტს ჭმუნვა მკვლელი
ვერ მახარებენ ღამით მთვარე, დღე მზე ცხოველი..“

(ორბელიანი, „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“, 1949:3)

პოეტისათვის სამშობლო მთავარი მაცოცხლებელი ძალაა მის გულსა და სულს ისე ესაჭიროება სამშობლოში ყოფნა, მისი ჰაერით სუნთქვა, როგორც ცოცხალ არსებას ესაჭირობა ჰაერი და წყალი საარსებოდ. პოეტი ვერ ხედავს სანუკვარ სამშობლოს და როგორც უსხივო ყვავილი ისე ჭკნება, რადგან

„თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო,
ვინ ჰკითხავს: „რისთვის აღარ ხარობ და ჰხმები ნერგო“
სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა,
სწყურიხარ როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელ თვალისა
ვით განდევნილთა - თვის ქვეყნითა მის მღერა ტკბილი,
ვით უდაბურში, მზით დამწვარი, მგზავრს წყარო ჩრდილი!“

(ორბელიანი, „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“, 1949:3)

ვახტანგ ორბელიანისათვის გაუსაძლისია სამშობლოსგან შორს ყოფნა ის ფრთამოტეხილ ჩიტს ემსგავსება, რომელსაც ფრენა აღარ შეუძლია. ისევე, როგორც შროშანისათვის აუცილებელია ბაღში ყოფნა და სტვენა, არწივისათვის მთა კლდეზე ფრენა, ცაში ნავარდობა, ასევე პოეტისათვისაც აუცილებელია იყოს თავის სამშობლოშ, რადგან მისი გული ზღვასავით ვრცელი და თავისუფალია, ჰორიზონტივით უსასრულოა, რომელშიც მხოლოდ სამშობლოს სიყვარული დაისადგურებს.

„ნუ დაატყვევებთ გულს ტურფას: იმის გული ზღვა არის;
ვინც უყვარს დაე მას წაჰყვეს სიკვდილი არის სხვა მისთვის;
ღმერთმა მას მისცა ის გული, მისი არსი იმის გულია,

იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!“

(ორბელიანი, „გალია“, 1949:79)

პოეტისათვის სიცოცხლე სამშობლოსგან შორს არაფრის მომცემი და ფუჭია, ასეთი ყოფა მას გალიაში ყოფნად ესახება და სიკვდილს ამჯობინებს.

„ღვთის ქმნილთ გალია არ შვენის, სად იყოს ტყვეობაშია?

ბევრით ჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია“

(ორბელიანი, „გალია“, 1949:79)

დასახელებულ ლექსში პოეტი მკაფიოდ ამჟღავნებს თავის მიზანდასახულობას, რომ სმშობლოში ყოფნასთან ერთად აუცილებელია თავისუფლებაც, რათა ემსახუროს თავის ქვეყანას.

აქვე მახსენდება, ვახტანგ ორბელიანის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოები - „მთის ქალი და მოგზაური“, რომელიც 1887 წელს დაიწერა და ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ნაწარმოების შინაარსი ასეთია: მოგზაურს განუზრახავას მთის ქალის ცოლად შერთვა და ამ მიზნით გაუმართავს მსათან დიალოგი. ქალი კატეგორიული ტონით აცხადებს:

„მგზავრო ჩემს შერთვას, ჩემს წაყვანას ამაოდ ეძებ;

მე ჩემს მიწა-წყალს, ჩემს ქვეყანას ვერ დავუტევებ“

(ქართული მწერლობა, ტ.IX, „მთის ქალი და მოგზაური“, 1987:564)

ვაჟი ზღაპრული ფერებით უხატავს ქალს სამშობლო პეიზაჟების სილამაზეს, სადაც ყვავილებით შემკულ მდელოებს მხურვალე მზე ათბობს და აელვარებს, ზღვიდან მოქრილილი ნიავი კი საამურად ევლება გარს და უშრიალებს გულმკერდს ფერადოვან ყვავილებს. ქალი ასე უპასუხებს ვაჟს:

„მგზავრო რად მინდა მზე ცხოველი და ცა ნათელი

და ან მბრწყინავი ყვავილებით ზურმუხტი ველი?

ნიავი ზღვისა გულს მომფენს მე რა ფუფუნებას,

მოშორებული თუ ვიქნები ჩემს წყალს, ჩემს მიწას.

. . . . . .

მგზავრო ეს მთები მირჩევნია მე თქვენს ნიავს,

ფუფუნბისა გულმომფენს და სულნელიანსა,

თქვენს ცას ნათელსა, მწვანე ველებს და მზეს ელვარეს,

თქვენს ყვავილებს და მოკაშკაშეთ ვერსკვლავთ და მთვარეთ“.

(ქართული მწერლობა, ტ.IX, „მთის ქალი და მოგზაური“, 1987:564)

ვაჟი პირობას დებს, რომ ქალს ზღაპრულ კოშკში აცხოვრებს და სანეტარო ბედნიერებას აჩუქებს შეუღლების შემთხვევაში. მაგარამ ქალი ასეთი დასაბუთებით უარყოფს მოს წინადადებას:

„მე ჩემი ქოხი მირჩევნია შენს დიდს პალატსა

შენს ყვავილთ წალკოტს, მშვენიერსა და გულწარმტაცსა,

მე აქ ვშობილვარ, აქ გავზრდიილვარ, აქ მინდა მოვკვდე,

ჩემი სამარე უნდა იყოს ისევ დიდი კლდე“.

(ქართული მწერლობა, ტ.IX, „მთის ქალი და მოგზაური“, 1987:564)

ვაჟი შეუპოვრად ცდილობს ქალის დაყოლიებას, აღუთქვამს ახალ ქვეყანას, ახალ ქალაქებს დამშვენებულს ტაძრებითა და სასახლეებით, აყვავებულს განათლებითა და ხელოვნებით, ქალი, უყოყმანოდ უარყოფს ვაჟის მიერ ლამაზი ფერებით დახატულ ქვეყანას, მას უპირისპირებს მისთვის მთავარ, ფასეულობას, სამშობლოს თავისი ბუნებითა და ისტორიით. მისთვის უპირველესი და უძვირფასესია „რუსთაველის მშვენიერი და ტკბილი ენა“. ის ვერ მოსწყდება მშობლიურ ფუძეს, ეროვნულ ძირს, რადგან:

„ შორსა უცხო ქვეყნდა გადარგული მთების მცენარი

ვიქნები მე იქ საბრალისი მწირი სტუმარი“.

(ქართული მწერლობა, ტ.IX, „მთის ქალი და მოგზაური“, 1987:564)

ქალ-ვაჟის ეს საინტერესო დიალოგი განშორებით მთავრდება. ქალს ვერავითარი სიმდიდრე და ვერანაირი ძალა ვერ აიძულებს სამშობლოს დათმობას.

იდეური და მხატვრული თვალსასზრისით შეიძლება პარალელი გავავლოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „სუბული და მწირთან“, რომელშიც მსგავის დიალოგი არის გამართული სუმბულსა და მწირს შორის. მწირი ცდილობს სუმბულს შეაყვაროს ის კარგი გარემო რომელშიც არის, სადაც ფუფუნება და სიმდიდრე მეფობს, ნაცვლად თავის ღარიბული სახლისა.

„ნუთუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;
სადაც კაცი შენს შვენებსა ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიჭკნობს და სიცივე ვერა დაგზარავას?“

(ბარათაშვილი, „სუმბული და მწირი“,)

სუმბულისთვის ეს ყველაფერი ამაოა, თუ ის საკუთარ მხარეში საკუთარ სახლში არ იქნეაბ. მის სულსა და გუსლ მხოლოდ მშობლიური გარემო ესალბუნება. სამშობლოს ჰაერით სულდგმულობს:

„მაგრამ მარქვს რა არის ჩემთვის სახლი დიდ-შვენიერი
ვით გააღიმებს ჩემს მშვენებას ხშული ჰაერი?
არღა მევლება გარე წყარო ცივი, კამკამი,
არღა მეცემის დილით გულს სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემტა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუჩკი მზისა სხივთა აღარ უჩრდილეს“.

(ბარათაშვილი, „სუმბული და მწირი“)

ვახტანგ ორბელიანის ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩანაფიქრი სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის გამომსახველია, პოეტის ეს გრძნობა ლექსში მთიელი ქალის პოეტურ სახეში ცნაურდება. ამ ქალს დედის რძესთან ერთად შეუწოვია საქართველოს სიყვარული, მისი ბუნების სიტურფე და სიმშვენიერე, მისი წარსული და აწმყო. მისთვის საქართველოს წარსულის მოგონება სიხარულისა და სევდის წყარო გამხდარა:

„ვუმზერ და ვხარობ, მაგარმ გული კვნენსი მიკვდება,
მისი წარსული ძველი რაკი მომაგონდება“.

ლირიკული გმირის ამ სიტყვაში თვით პოეტის განცდაა მოცემული, რაც ბეთანიის ეკლესიაში თამარ მეფის ფრესკის ხილვით წარმოთქმულ ცნობილ მიმართვას გვაგონებს;

„მიხარის გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ
და შენი მზერა მსურს სიკვდილამდე“.

(გ. ორბელიანი, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“)

რუსეთში გადასახლების გამოძახილთაა კიდევ ერთი გამორჩეული გვერდი მისი ლირიკული რვეულისა _ „მოგონება“. სამშობლოსგან იძულებით დაშორებულ პოეტს ძილშიაც კი არ ასვენებს ფიქრები საქართველოზე.

„მწუხარე პოეტს მუდამ თვალწინ ედგა „ჩვენი მამული მშვენიერი ჩვენი ქვეყანა, ჩვენის სამშობლოს მშვენიერთა მთანი და ბარნი და „წარსული დღეთა ყოფა -ცხოვრება“ („მოგონება“), იგი ალეგორიულად ვარდსა და ვარსკვლავებს ადარებს სამშობლოს და მის განახლებას, მის კვლავ ხილვას ნატრობდა.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III. 1972:245)

„სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;
ვიყავ ჭაბუკი, სამშობლოსკენ იწევდა გული.
დღედაღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა

ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა.

შორს ვიყავ მისგან, მაგრამ გულით სულ ვიყავ მასთან,

ჩემს ღარიბ ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს სალამაზთან:“

(ორბელიანი, „მოგონება“,

1949:4)

აქვე ავღნიშნავ, რომ „ეს „ეტლი“ არა როგორც ეკიპაჯი, არამედ როგორც ბედისწერის განმასახიერებელი თანავარსკვლავედი, ბოლომდე გასდევს ვ. ორბელიანის მთელ ლირიკას“ (ზ. აბძიანიძ 2009:4).

განვლო სამშობლოდან გადასახლების მწარე ჟამმა და პოეტი 1838 წელს დაბრუნდა საქართველოში. კვლავ ეღირსა „ლოდინით დაბერებულ გულს“ ეხილა ვარსკვლავებით მოჭედილი მშობლიური ცა, ყვავილებით შემოსილი მთა-ბარი. სიმძიმილი შეცვალა სიხარულისა და აღტაცების გრძნობამ.

„ვნახე სამშობლო; როგორც კვლავ, მდიდრად შვენოდა;

ლურჯი წმინდა ცა მხიარულად მხიარულად მას დასცქეროდა.“

(ორბელიანი, „მოგონება" 1949:4)

ასეთ სიხარულთა და აღტაცებით დაბრუნდა პოეტი თავის ქვეყანას. განვლილმა წლებმა პოეტს თითქოს კიდვ უფრო შეაყვარა სამშობლო და ამის შემდეგ მან შემოქნედების ძირითად თემად იგი გაიხადა.

ვახტანგ ორბელიანისათვის ყველაზე უწინარესი გრძნობა არის: „გრძნობა მამულის სიყვარულისა“, რასაც ზემოთ განხილულ ლექსებთან ერთად ამტკცებს მისი შესანიშნავი ლექსი „ხმა სამშობლო ქვეყნისა“. პოეტი დიდი სიყვარულითა და სიდიადით აღწერს სამშობლოს მთა- ბარს“, ხოლო სამშობლოს „ედემს“ ადაებს და თავს ღვთისგან დალოცვილად მიიჩნევს, რომ ეს სიმდიდრე მას ხვდა წილად.

„ღმერთი მლოცავდა,

როცა მბადავდა,

მომცა შვენება მე ედემისა

ტურფა მთა-ბარნი,

წყალნი მდინარნი,

სხივით ელვარე წინ მკერდი ზღვისა;“

(ორბელიანი, „ხმა სამშობლო ქვეყნისა“, 1949:85)

ბედნიერებითა და მადლიერებით აღვსილი პოეტი ცდილობს „ღვთით ბოძებული“ სამშობლოს ერთგულად ემსახუროს. სურს, რომ თანამემამულეებს დაეხმაროს, მარად მათ სამსახურში იყოს თუნდაც თავისი კალმით.

„დამბადა ასე...

სიმდიდრით სავსე

ეს ჩემი მკერდი და წიაღია;

მასში რძე ტკბილი

მაქვს მე შთაღვრილი,

ჩემთ ძეთთვის იგი მარად მაქვს ღია.“

(ორბელიანი, „ხმა სამშობლო ქვეყნისა“, 1949:85)

ამრიგად, ვახტანგ ორბელიანის პატრიოტულ ლირიკას ახასიათებს ბევრი ცრემლი და ტკივილი, სევდა და წუხილი, რაც გამოუწვევია სამშობლოდან შორს ყოფნას. სწორედ, ამიტომ სამშობლო იყო პოეტის მთავარი სატკივარი, რომელსაც უძღვნა გულის სიღრმიდან გადმოტანილი სიყვარულით გამთბარი უძვირფასესი სიტყვები.

თავი V

წარსულის ხსოვნა ვ. ორბელიანის შემოქმედებაში

ვახტანგ ორრბელიანის შემოქმედება პატარაა და დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, თუმცა მისი ლირიკის თითოეული ნიმუში გამთბარია ღრმა პატრიოტული სულისკვეთებითა და წარსული დიდების ჩვენებით.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ძირითადი და მთავარი საგანი საქართველოს წარსულია: „პოეტი საქართველოს „გარდასულ დიდებას“ მისტირის და უნდობლად უცქერის აწმყოს. პოეტის რწმენით წარსული უზადო და შეუბღალავია. იგი დამშვენებულია მაღალი სინდისით, რაინდული გმირობითა და უსაზღვრო პატრიოტიზმით“ (მეგზური, 1959:71)

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი, ერთის მხვრივ, გადმოგვცემს ბედნიერ განცდებს, იმისას თუ როგორ ესალბუნება მის დაწყლულებულ ლოდინით დაბერებულ გულს მამულის კვლავ ხილვამ, თუ როგორ შეცვალა სიმძიმილი სიტკბოებად. იგი აღარაფრად აგდებდა უკან დარჩენილ ბურუსით მოცულ დღეებს ტყვეობაში გატარებულს, რადგანაც სამშობლოში დაბრუნებით მისი ცა კაშკაშა ვარსკვლავებით აციაგდა და წყვდიადში მყოფი გზა ნათელით შეეცვალა. მეორეს მხვრივ, კი არსებული სინამდვილით უკმაყოფილო და დამძიმებული პოეტი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

„მისმა გამჭრიახმა თვალმა დაინახა თანამედროვე ადამიანის სულიერი დეგრადაცია. მაშ არჩევანი არ გვრჩება საჭიროა სიმტკიცის დაბრუნება, რათა „ახლის“ გარეგანი სილამაზე „ძველის“ ძალ-ღონით შეიცვალოს“. (კოტეტიშვილი 1965:164).

ვახტანგ ორბელიანი ის რომანტიკოსი პოეტია, რომელიც წარსულის აღდგენაში ეძებდა ხსნას. პოეტი აღტაცებულია ქვეყნის წარსულით, მასში დასაგმობს და გასაკიცხს ვერაფერს ხედავს. ისტორიის გაიდეალებით პოეტს სურდა, რომ გამოეღვიძებინა

საზოგადოება უმოქმედობისგან, ეჩვენებინა წარსულ დროთა პათოსი და აღეძრა მათში სამშობლოს პატრიოტული გრძნობა.

ვ. ორბელიანი თავის შემოქმედებაში საუბრობს საქართველოს შორეულ წარსულზე, ერთმანეთს ადარებს მდგომარეობას რუსეთთან შეერთებამდე და მის შემდეგ. ერეკლე მეორის ეს ნაბიჯი პროგრესულად შეაფასა და ისტორიულ აუცილებლობად მიიჩნია პოეტმა. მტრისგან ყოველმხვრივ შევიწროებულ და წამებულ საქართველოს ღმერთმა ხსნად მოუვლინა მეფე ერეკლე, დღედაღამ თავისი მამულის კეთილდღეობისსათვის ურჯულოთ ებრძოდა, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოს ყოფნა - არყოფნის საკითხი დადგა არჩევანი აღარ იყო, ქვეყანას გადაშენების საფრთხე დაემუქრა, სწორედ, ამიტომ მან „ჩრდილოეთი აჩვენა თითი“. ამ ნაბიჯმა სამშობლო გადაგვირჩინა, თვითონ მეფე კი ბოლომდე მის გვერდით ხელში ხმალით მომკვდარა.

ვ. ორბელიანი ტყვეობაში მოქცეული ადამიანივით მხოლოდ წარსულისაკენ იხდება. „პოეტი წარსულიდან ისეთ სახეებს იწვევს, რომელთაც მემატიანეები და გადმოცემები დიდების შარავანდედით მოსავენ; პოეტი მხოლოდ ისეთ შემთხვევებს იგონებს, რომლებიც გვიჩვენებენ ძველ გმირთა ვაჟკაცობას, მხნეობასა და ზნეობრივ სიმაღლეს. მის შემოქმედებაში ეს ისტორიული პორები თავისუფალი არიან ყოველგვარი „მიწიერი“ ზრახვებისაგან და უფრო ზესთაბუნებრივი თვისებებით აღჭურვილ არსებებს მოგვაგონებენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. ასეთია ვახტანგ ორბელიანის გადმოცემით დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე („არის ადგილი“, „ობოლი“, „ძეგლი“...) და ირაკლი მეორე, რომელთაგან იკანასკნელს განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. („ირაკლი და კოხტა ბელადი“, „ირაკლი და მისი დრო“, „იმედი“ ...)“ (კიკნაძე, ტომი IV, 2009:49).

„ერეკლე მეორე, როგორც გამოჩენილი მეფე და სარდალი, ფართო გამოხატულებას პოულობს მეცხრამეტე საუკუნის მთელ ქართულ მწერლობაში. თუ მეცხრამეტე საუკუნემდე ქართულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ ორი მეფე - დავით

აღმაშენებელი და თამარი იყვნენ ქების ობიექტები, ახალ დროში მათ გვერდით დგება ერეკლე მეორე. როგორც ოფიციალური ლიტერატურა, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერება დიდდების შარავანდედით მოსავს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირ მეფეს. ერეკლე დიდი სიმპატიიტ სარგებლობს ქართველ რომანტიკოსთა მხატვრულ შემოქმედებაში. გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში არაერთგზის გვხვდება პატარა კახის გმირული სახე. ვახტანგ ორბელიანმა რამდენიმე ნაწარმოები უძღვნა ერისათვის თავდადებულ მეფეს. ასეთებია: „ირაკლი და კოხტა ბელადი“, „ირაკლი და მისი დრო“, ერთი დიდი ნაწილი „იმედისა“ და სხვები.“

პოეტი არამარტო დიდ მოღვაწეებს გვიცოცხლებს, არამედ ძველ დროს ზოგადად. იგი რომანტიკულ უკიდურესობაშიც კი ვარდება და ბატონყმობასაც იდეალურ მყუდროებად წარმოიდგენს, რადგან წარსული დროის ბატონ-ყმობა მას მამა-შვილურ ურთიერთობად ესახებოდა. ეს დამოკიდებულება კარგად არის ასახული ლექსში „განკითხვა“.

„უყვარს მოხუცსა თავის გლეხნი - ყმანი,-
მისთვის ის ყმანი არიან ძმანი,-
ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:
ერთნი არიან ყმა და პატრონი !?“

(ორბელიანი, „განკითხვა“, 1949:40)

„ისტორიულ პირთაგან ვ. ორბელიანი ყველაზე მეტად თაყვანს სცემს ერეკლე მეორეს. „პატარა კახი“ რაღაც თილისმიან გმირად ეჩვენება, რომლის მხოლოდ გამოჩენა იყო საკმარისი, რომ სასწაულები მომხდარიყო ქართულ ჯარში. მისი ერთი სიტყვა აღაგზნებდა ყველა ქართველის გულს“. (კოტეტიშვილი 1965 :158).

პოეტი გვიცოცხლებს ერთ-ერთ ბრძოლის სურათს, როცა:

„ ირაკლიმ კახეთს შესძახა: „კახეთო, მოდის მტერიო!

აბა , ჩვეულხართ როგორცა, მტერს აუყენეთ მტვერიო!“

(ორბელიანი, „ირაკლი და კოხტა ბელადი“, 1949:95)

ამ ხმამ თითქოს გაარღვია სიკვდილი, ჯარი დაირაზმა საბრძოლველად. ბრძოლის მოლოდინში ყველა ერეკლეს მისჩერებოდა, „გულით და სულით ჯარი მას უმზერს:“

„ტანი დაბალი

შუბლი მაღალი

თვალი გამჭვრეტი ვით არწივისა,

მოშაო ფერით,

მოსული მკერდი, ბეჭი გმირისა !“

(ორბელიანი, „ირაკლი და კოხტა ბელადი“, 1949:98)

დაიწყო ბრძოლა. კოხტა ბელადი „რისხვით, ვით ვეფხვი კლდე - ღრეს მოანგრევს“ და „პატარა კახსა საბრძოლველად იწვევს.“ ერეკლეც ლომივით დაუხვდება:

„ებრძვის ქრისტეს მტერს

წინ უდგას თვის ერი...

უსჯულო მტერი,

მძლავრი ძლიერი

ვერ დაიმონებს ირაკლის ხმალსა!“

(ორბელიანი, „ირაკლი და კოხტა ბელადი“, 1949:99)

„ ერეკლე მეორის მეფობას ეძღვნება ლექსი „ირაკლი და იმისი დრო,“ სადაც ჩანს პოეტის დადებითი პოზიცია.

„სამშობლოს კუთხეთ

ყოვლის მხრით ჰკითხეთ

და გადაავლეთ მის კვალთა თვალი

მათ გულს მოგითხრონ,

მათ გულს გამხილონ,

ირაკლიმ მამულის რაც დასდო ვალი!“

(ორბელიანი, „ირაკლი და მისი დრო“, 1949:104)

ვ. ორბელიანის შემოქმედებაში გვაქვს მეფე ერეკლეს მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯის შეფასება. პოეტს ერეკლეს მიერ გადადგმული ნაბიჯი პოლიტუკურ აუცილებლობად მიაჩნდა და მის დადებით მხარეებზე გვესაუბრება. ჩვენს პოეტს ეთანხმებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც თავისი სიტყვებით, მეტიც პროგრესულად აფასებდა და ამ ნაბიჯით საქართველოს მომავალ თავისუფლებასა და განათლებას უქადდა. პოეტი წერს:

„განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთა სასოება,

რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“,

(ალ. ჭავჭავაძე, „კავკასია“, 1949:25)

„ნ. ბარათაშვილის გენიამ ჭშმარიტებით შეიცნო ისტორიული აუცილებლობა „ქართლის ბედის “ პრობლემა. „ბედი ქართლისა“ სწორი ისტორიული გააზრებით წარმოგვიდგენს საქართველოს რუსეთთან შეერთების ორ მოპირდაპირე თვალსაზრისს. ნ. ბარათაშვილის რწმენით, კრწანისის ტრაგედიამ საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს ორიენტაციის საკითხი - რუსეთთან დაკავშირება, რაც სავსებით სწორი და იისტორიულად აუცილებელი მოვლენა იყო. „სხვა ქართველი მოწინავე მოაზროვნეებთან ერთად ბარათაშვილი მთელი არსებით გრძნობდა ერეკლეს ბრძნული აზრის ჭეშმარიტებას; ამიტომ მუხლს იყრიდა მისი ნათელი ხსოვნის წინაშე, რაც მან ასევე ნათლად გამოხატა ბრწყინვალე ლექსში “ საფლავი მეფის ირაკლისა“ მუხლმოყრილი გენიალური პოეტი ღრმა სიყვარულით და სპეტაკი გრძნობით შეჰღაღადებდა ერეკლეს აჩრდილს:“ (ჟღენტი, 1965:32-33)

„აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილისა აწ შენნი ძენი.

. . . . . .

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,

უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,

და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!“

(ბარათაშვილი, „საფლავი მეფის ირაკლისა“)

განსაკუთრებით მწვავე განცდებს აღძრავს მოგონება ერეკლე მეორესი ლექსში „იმედი“. იგი ფართოდ ეხება „პატარა კახის“ მიერ გადახდილ ომებს, გმირულ ბრძოლებს ასპინძისა და კრწანისის ველებზე:

“აჰა, ირაკლი გმირთა გმირი, კახი პატარა:

ურწმუნოთ მამულს არ მივცემო არა და არა!

. . . . . .

გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,

მოსათხრობელად, საამბობლად, რათქმაუნდა ძნელი.”

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:15)

ვახტანგ ორბელიანი ღვაწლმოსილი, ისტორიული გმირების გვერდით გვისახელებს ცალკეულ პირებს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს სამშობლოს გადარჩენის საქმეში, მედგრად იდგნენ მტრის სადარაჯოზე ფარითა და ხმალით ხელში და საკუთარი სიცოცხლის ფასად შემოგვინახეს სამშობლო.

„ნიაღვრით სისხლის

მთა - ბარი ირწყვის:

მამულის შვილნი იხოცებიან!

. . . . . .

იბრძვიან მთაში,

იბრძვიან ბარში,

წმინდა ტაძართ წინ და კარის წინა.

„ძმანო სჯულისთვის!

და მამულისთვის! “

ეს არს ძახილი ომში და შინა“.

(ორბელიანი, „ირაკლი და მისი დრო“, 1949:106)

როგორც უკვე, ვთქვით, ჩვენი პოეტის შემოქმედების ძირითად თემას ძველი საქართველოს დიდება წარმოადგენს, სხვა თემები კი ამ ხაზის ირგვლივ ვითარდება გარკვეული სახეცვლილებით. ეს აზრი პირველად ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა. ილია წერდა:

„უმთავრესი ძარღვი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებისა ერთი გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულს დამხობილს დიდებას... მართალია , - განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, - გრიგოლ ორბელიანმა ჩვენს პოეტზე უწინ მიგვახედა წარსულს და ამით ახალი საგანი გაუჩინა ჩვენს პოეზიას, მაგრამ ამ გზაზედ ის გადაუხვევლად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლის მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიყვარულისა - მამულის შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილა მეორეს ძუძუთი.“ (ი ჭავჭავაძე, ტ.III , 1953: 242).

ნამდვილად სამართლიანია ილიას ეს დებულება. მეცხრამმეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შეუძლებელია დავასახელოთ მეორე მწერალი, რომელიც ისე მჭიდროდ უკავშირებდა წარსულს , როგორც ვახტანგ ორბელიანი.

წარსულის დროთა დიდებაზე ღაღადებს და აწმყოს დაკნინებაზე მიუთითებს ლექსები: „ძველი დმანისი“ არის ადგილი; ორი შენობა; ორის სიზმარი;

ვახტანგ ორბელიანისათვის მაცოცხლებელი ძალა წარსულია. პოეტი ბედნიერებას, სიხარულსა და სიყვარულს მხოლოდ მამა-პაპათა სამყოფელში ეზიარება, ამიტომაც იხსენებს მათ სახეებს. ლექსში „ძველი დმანისი“ იგი ამბობს:

„მოგესალმებით მამა-პაპის მაგარ სადგურო,
დიდხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდხანს გიყურო!
მოგესალმებით დიდ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
დიდის შენობის როგორც თქვენა, საბრალო შთენი.“

(ორბელიანი, „ძველი დმანისი“, 1949:25)

პოეტი დიდი სასოებით თავდახრილი, მწუხარე ფიქრით გარემოცული უყურებს დიდი წარსულის ძეგლებს, რომლებიც დამაჯერებლად მეტყველებენ წინაპართა დიად ცხოვრებას. იგი შეჰყურებს „ძველ დმანისს“ სასოებით უმზერს მის ციხე კოშკებს, რომელნიც:

„როსმე მაგარნი და ამაყნი დღეს დარღვეულნი,
ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?!
ვდგავარ თქვენს წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგავარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.“

(ორბელიანი, „ძველი დმანისი“, 1949:26)

„პოეტი ვეღარ უძლებს შემოწოლილ მოგონებებს. ამ ციკლური ხუროთმოძღვრების იქით მოჩანს მისი ქვეყნის ბრწყინვალე წარსული, რომელიც „მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს“, პოეტი სწყევლის დაუზოგველად. (კოტეტიშვილი 1965:157)

„განჰქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა,
ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემთ თვალთა წინა!“

(ორბელიანი, „ძველი დმანისი“, 1949:26)

მსგავს გრძნობებს აღუძრავს პოეტს კიდევ ერთი დიდებული ქართული ისტორიული ძეგლი გელათის ტაძარი. პოეტმა ამ გრძნობის გამოსახატავად დაწერა ლექსი „არის ადგილი“, რომელშიც დიდი მოწიწებით ეტრფის ამ ბუმბერაზ მრავალსაუკუნოვან . მან ეს ლექსი მიუძღვნა იმერთ, რითაც დიდი პატივისცემა და განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მათდამი. სამშობლოს ამ კუთხეს პოეტი ედემს ადარებს, მას ეძნელება ამ სილამაძის სიტყვებით გადმოცემა

„არის ადგილი მისი შვენების ვერ აღწერს ხელი
როგორც ედემის, მის აღწერა ისეა ძნელი!
მისი შვენება ედემისა არის შვენება,
იმის შვენების მოშორება თვალს ენანება.“

(ქართული მწერლობა, ტ. IX, „არის ადგილი“, 1987:480)

პოეტი გვიცოცხლებს წარსულის სურათებს, იმ მძიმე ქარტეხილს, რომელიც ტაძარს თავს დაატყდა და რომლის მიზანიც მისი შერყევა განადგურება იყო. ტაძარი მაინც მედგრად დგას, რადგანაც ძლიერი ხელითაა ნაშენი, მის სიმტკიცეს მტრის ხელი ვერას დააკლებს. დღეს, კი ტაძარი გვინახავს იმ ღვაწლმოსილი ისტორიული პირების ხსოვნას, რომელნიც მის წიაღში განისვენებენ.

„თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
პოეზიისა, ერის გულში, სხივით მორთული,
ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული!
აქ განისვენებს... მისი სახელი?...- დიდი დავითი!
მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ.. გელათ:“.

(ქართული მწერლობა, „არის ადგილი“, 1987:480)

ლექსებში „ორი შენობა“ და „ორი სიზმარი“ პოეტმა დაგვიხატა ძველისა და ახლის დაპირისპირება. ამ კონტრასტით ვახტანგ ორბელიანმა დაგვანახა ძველის

უპირატესობა, რადგან მას მტკიცე საფუძველი აქვს, გაჯერებულია წარსულის ღონით. ახალი თვალს ხიბლავს და ახარებს, თუმცა მას ძლიერად მონაბერი ნიავიც კი გაანადგურებს. ახალ შენობას პოეტი ასე ახასიათებს:

„იმ ერთს არა აქვას გრძლად დგომისა ღონე საკმარი
მას დაანგრევენ სამოცის წლის სეტყვა და ქარი;
და რა კედელნი სუსტნი, ნაზნი დაინგრევიან,
მისი ნანგრევნიც მიწის პირზედ მსწრაფლ განქრებიან.“

(ორბელიანი, „ორო შენობა“, 1949:38)

პოეტი ახალი შენობის დახასიათებისა და მისი უნიადაგობის ჩვენების შემდეგ გადადის ძველი შენობის აღწერაზე, რომელიც სიძველის მიუხედავად წარსულის მყარ ნიადაგზე დგას.

„ის, კი მეორე, ის მოხუცი შვიდასის წლისა?
მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა,
თუმცა მტრის ხელით შერყეული, შეგინებული,
მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღშენებული!“

(ორბელიანი, „არის ადგილი“, 1949:38)

ძველი შენობის დახავსებულობა საბოლოოდ მაინც ვერ ფარავს სულიერ ძალღონეს მწერლისას და იმედს აძლევს, რომ „დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება.“

ამ ლექსის შესახებ მკვლევარი კიტა აბაშიძე შენიშნავს, რომ „ეს ლექსი კრიტიკაა მთელი დღეინდელი ცხოვრებისა, დღეინდელის უნიადაგობისა, რადგან უნიადაგო და წარმავალია ყოველივე, რაიცა არ არის შეკავშირებული წარსულთან, შეწონილი და შეჯაჭვული ისტორიულ ტრადიციებთან... ეს ღრმა აზრი და ძლიერი გრძნობა, შეზავებული მწარე სევდითა და ფრთა-შესხმულის იმედით „ორი შენობის“ სიმბოლოთი აქვს გადმოცემული ავტორს“. (აბაშიძე 1911:116)

საქართველოს აწმყოსა და მომავლის სურათებია დახატული ლექსში „ორი სიზმარი“. პირველ სიზმარში პოეტი ხედავს „შემუსვრილ ტაძრებს, უსულდგმულო ივერიას,“ რომელსაც დაკარგვია სიცოცხლის ცეცხლი“

„აღარ იძროდენ აღარც ხენი აღარც ნიავი,
ბუნება იყო სრულად მკვდარი სრულად უძრავი.
ვხედავდი მრავალთ მაგარ სადგურთ, ტაძართ დიდებულთ,
მაგრამ შმუსვრილთ დარღვეულთა და დატოვებულთ.“

(ორბელიანი, „ორი სიზმარი“, 1949:27)

ამის შემდეგ პოეტი სიზმრად ხედავს, რომ მის წინ დგას „გაცოცხლებული ივერია.“

„ვხედავდი ივერს, გარდეაშლილსა ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძნა მის წიაღს შინა.
მზის სხივნი, უხვნი ბრწყინვალენი მაზედ მნათობდნენ
და მის მთაბართა და ხეობათა უხვად ათბობდნენ:“

(ორბელიანი, „ორი სიზმარი“, 1949:27)

ბოლოს როცა პოეტს გაეღვიძება, წყდება მისი სათქმელი, ხმა აღარ ისმის, ვფიქრობ პირველი სიზმარი დიდებული წარსულის აწმყოა, მეორე კი სასურველი და იმედის მომცემი მომავლისა, მომავლისა რომელიც ჯერ მხოლოდ ნათელი სიზმარია.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიას საქართვეოს წარსულთან ერთად სამშობლოს აწმყო და მომავალიც ასაზრდოებდა, ამიტომაც ამ მომავლის იმედს უძღვნა პოემა. პოეტი აცხადებდა: „ჩემი მზე არის იმედიო“. და მართლაც, მგოსნის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი ცენტრალური ნაწარმოებია ლირიკული პოემა „იმედი“, რომელზეც პოეტი რამოდენიმე წელი მუშაობდა. პოემის პირველი თავი სახელწოდებით „ახალ გამოჩენილ მშვენებას“ გამოქვეყნდა 1859 წელს („ცისკარი“, №2), უფრო ვრცელი ტექსტი 1868 წელს („ცისკარი“, №2), ხოლო სრულად - 1879 წელს ზ. ჭიჭინაძის

რედაქციით. ეს პოემა მეტად მნიშვნელოვანია როგორც იდეურად, ისე პოეტიკის თვალსაზრისით.

ვახტანგ ორბელიანის „იმედს“ პირველად ილია ჭავჭავაძემ და პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა მიაქციეს ყურადღება. ილიამ „იმედს“ ქართული პოეზიის უწარჩინებულესი მარგალიტი უწოდა. პროფ. ალ. ხახანაშვილმა „იმედი“ და „ობოლი“ ვახტანგ ორბელიანის მხატვრული აზროვნების შედეგრებად მიიჩნია. ვახტანგ ორბელიანმა ამ პოემებში „ჩააქსოვა მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და პატრიოტული სიყვარულის ცეცხლიო“, - წერდა ალ. ხახანაშვილი.

კიტა აბაშიძე ამავე ლექსის გამო წერდა: „მთელი სულიერი განწყობილება პოეტისა, მისი ზრახვა, აზრი და მისწრაფება, მისი ჩივილი და იმედი ერთს პირველსა და საუკეთესო მის ლექსშია გამოხატული. ეს ლექსი „იმედია“. ამავე ლექსში სჩანს ის განსხვავება, რომელიც ვახტანგ ორბელიანს აშორებს ჩვენს რომანტიკოსთა პოეტებს და ახალის ხანის მაუწყებლად ჰქმნის“.(აბაშიძე, 1911:114)

პოემის ლირიკული გმირი თავად ავტორია. იგი ხვდება უცნობ ტურფა ასულს, რომელიც მოსულა სტუმრად მის ქვეყანაში. პოეტმა არ იცის ეს ქალი ანგელოზია, თუ ეშმაკი, თუმცა მაინც აცნობს და დიდი სასოებით აღუწერს სამშობლოს:

„აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მნათი მარადჟამს!
აქა დავითი და თამარი სულსა ლიდევ სწამს,
აქ რუსთაველის ლექსნი კვალად ატკბობენ ყურსა,
აქა სმენენ ბესიკისას მღერას ციურსა.“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:12)

მიუხედავად ამ დიდი საჩუქრისა, რაც ბუნებისგან ერგო ქვეყანას ჟამთასვლას გაუნადგურებია. საქართველოს ისტორიის ფურცლები სისხლითაა შეღებილი. ქართველი ხალხი სიცოცხლის ფასად იცავდა მთავარ ფასეულობას: სარწმუნოებსა და მამულს. პოეტი მძაფრი განცდებით აგრძელებს ივერიის მძიმე ისტორიის თხრობას და

ეუბნება ასულს, რომ ეს ყველაფერი იკითხება იმ ჯვარზედ, რომელსაც წმინდა ნინომ ატარებდა და დღესაც ინახება.

„ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი:
ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!...
სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი
ჩვენის სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ბნელი!
გსურს სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მასზედ სწერია?
აი ეს აზრი: „წმიდა ჯვარი და ივერია!“ “

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:14)

„ვახტანგ ორბელიანი, როგორც წარსულის მოტრფიალე შემოქმედი დიდებული ფერებით გვიხატავს ქართველი ხალხის ბრძოლის უნარიანობას სიმცირის მიუხედავად სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ. საქართველო მუდამ მტრის ობიექტს წარმოადგენდა, თუმცა ამხნის განმავლობაში ფარხმალი არასდროს დაუყრია და სამშობლოსთან ერთად მდიდარი მატერიალურ-კულტურული ისტორია შექმნა. მგოსანი გვეუბნება:

„ერთის ხელითა წმიდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით;
და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმალს არ ვაგებდით.“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:14)

მთელი ქართული მატიანე ღაღადებს მამა-პაპათა გმირულ ბრძოლებს. თავდადებას სამშობლოსა და რელიგიისთვის. პოეტს არ ეგულება ადგილი, რომელიც წინაპართა გმირული სისხლით არ იყოს შეღებილი, ამიტომაც გვეუბნება სულსიჩამწვდომ სიტყვებს:

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო!“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:15)

მგოსანი სტრიქონებს უძღვნის მეფე ერეკლეს, რომელიც თავდადებული იყო ქვეყნისთვის და მთელი ძალით ცდილობდა ქვეყანა სწორი გზით წაეყვანა, თავისუფალი მომავლისაკენ. პოეტი მეფე ერეკლეს პერიოდს გარდამტეხ ხაზად მიიჩნევდა, ერეკლეს მეფობით, დასრულდა ძველი ეპოქა, ისტორიის ფურცლებზე დარჩა ძველი საქართველო, ამიტომ სევდითა და ნაღველით დამძიმებული პოეტი ამბობს მისი შემოქმედების უკვდავ ფრაზებს:

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა,
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:15)

ვ. ორბელიანი ღვაწლმოსილ ისტორიულ პირთა დახასიათების შემდეგ გვიხატავს არსებულ რეალობას, რომელშიც უხდობა ცხოვრება მისდასამწუხაროდ. პოეტი თანამემამულეთა თვალებში იმ ცეცხლსა და ჟინს ვეღარ ხედავს, რომელიც ანათებდა წინაპართა გულებს, ამიტომ საყვედურობს მათ მონური და უმოქმედო ყოფისთვის. ნაცვლად იმისა, რომ წინაპართ საქმე გავაგრძელოთ, ჩვენი აგური დავდოთ სამშობლოს შენებისსა და აყვავების საქმეში, ვითარებას შევეგუეთ და გარდაუალ აუცილებლობად აღვიქვით. სასოწარკვეთილებაში მყოფი პოეტი წერს:

„მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ? ჩვენს უღონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს,
გმირთ მამა-პაპათ არ მოგვგვრის ცრემლებს!“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:17)

შეიძლება პარალელი გავავლოთ ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებთან პოემა „აჩრდილიდან“, რომელშიც ავტორი მსგავს სურათს გვიხატავს.

აღგვიწერს ქალაქს სადაც გულცივობა, შური და მტრობა სუფევს, ქვეყნის თითოეული მოქალაქე განცალკევებულა, დავიწყებია საერთო სატკივარი და ნაცვლად ერთად დგომისა მიმოფანტულან, საკუთარი კეთილდღეობისათვის დაუწყიათ ფიქრი.

„აქ არვის - დიდსა თუ პატარასა, -
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.“

(ჭავჭავაძე, „აჩრდილი“, 2012:132)

ვახტანგ ორბელიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება, როდესაც ხედავს მამულისშვილთა ასეთ გულგრილობასა და უმოქმედობას. დიდებულ წარსულთან ჭიდილში აწმყო არაფრად ესახება, ვერაფერს ხედავს მასში სახარბიელოს, ამიტომაც მასში თითქოს ორბუნებოვანება იჩენს თავს.

„გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა.
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუთუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?...
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების, -
მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:20)

ღრმადმორწმუნე პოეტი მძაფრ განცდებშია, უდიდესი ტკივილი დაისადგურებს მასში ღვთისადმი წყრომის გამო. მსწრაფლ მოეგება ის გონსა და ღმერთს პატიებას სთხოვს. პოეტი სინანულის ცრემლებით ავედრებს უფალს საკუთარ თავსა და სამშობლოს.

„ღმერთო კეთილო! მომიტევე შენს დაბადებულს,
ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულგადაგებულს.

რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,

რა საქართველო დანგრეული მომელანდება.“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:22)

ასეთ განცდებში მყოფ მგოსანს მოევლინება ტურფა ასელი, რომელიც სამშობლოს აღდგენის რწმენასა და იმედს შთააგონებს. დამშვიდებული პოეტის გულში კვლავ იმედის სხივი შემოანათებს, მშვენიერი ასული ანთებული გულით უახლოვდება მას და წარმოთქვამს იმედის მომცემ ფრაზას:

„გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განქრებიან,

გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან:

ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი

მოგფენსთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ერი,

ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,

თქვენი სამშობლო ღირსეული კვლავ აღყვავდება.“

(ორბელიანი, „იმედი“, 1949:25)

„ყოვლად მხსნელმა იმედმა დაუამა პოეტს გულის ტკივილი“ (ილია ჭავჭავაძე). იმედის რწმენამ გააღვიძა სიცოცხლისაკენ ლტოლვა და ოპტიმიზმი.

ამრიგად, წარსულის ხსოვნა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში უმაღლეს საფეხურზეა ასული, პოეტი მთელი სულითა და გულით ეტრფის წარსულსა და დიდი კრძალვა-მოწიწებით ქედს იხრრის სამშობლოსათვის თავდადებულ წინაპართა წინაშე. პოეტი არ ეშვება რომანტიკულ უკიდურესიბაში და დიდი წარსულით სასურველი ნათელი მომავლისაკენ იხედება, რომელიც „იმედის“ სხივით გვიჩვენა, როგორც ილია ამბობდა: „აწმყო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენიაო“ და „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებსო“.

თავი VI

რელიგიურ-მორალისტური ნაკადი

ვახტანგ ორბელიანი, როგორც სამშობლოსთვის გულანთებული, წარსულის მოტრფიალე რომანტიკოსი პოეტი დიდ ძალას ხედავდა რელიგიში, ამიტომ მის შემოქმედებაში თავი იჩინა მკვეთრად გამოხატულმა რელიგიურ-მორალისტურმა ტენდენციამ. პოეტი განსაკუთრებული ყურაღებით გვიხატავს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებლად მომავალი წმინდა ნინოს გზასა და ბრძოლას წარმართობის წინააღმდეგ.

ვიდრე, უშუალოდ პოეტის შემოქმედებაზე ვისაურებდეთ მოკლედ მიმოვიხილოთ წმინდა ნინოს გზა საქართველოში, რადგან წმინდანს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ხალხის მოქცევის საქმეში. „ქართლში მირიანის მეფობის დროს (IV ს) ქრისტიანობა იქადაგა მცირე აზიიდან, კაბადოკიიდან მოსულმა ქალმა ნინომ. ჯერ მეფემ და მისმა სახლობამ მიიღეს ქრისტიანობა, დედაქალაქ მცხეთაში. ასევე მოინათლენ, პირველ რიგში, გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. ამრიგად, ქრისტიანობა იბერიაში აღიარეს სახელმწიფო ნებადართულ რელიგიად (337 წ.). ცნობები ამ სარწმუნოებრივი ცვლილებების შესახებ მალე გავრცელდა მაშინდელ მოწინავე ქვეყნებში - რომში, სირიასა და სომხეთში... გადმოცემის თანახმად ნინომ სახელი გაითქვა მკურნალობით. მიაღწია მეფის კარს, მოარჩინა სნეული ნანა დედოფალი და გააქრისტიანა იგი. ნინო ცდილობდა მეფეც მოექცია ახალ რჯულზე, მაგრამ მირიანი ყოყმანობდა, ვიდრე ნადირობის დროს მომხდარმა შემთხვევამ ბოლო არ მოუღო მის ყოყმანს: მოხდა მზის დაბნელება, წყვდიადით მოცულ მეფესა და მის მხედრებს ტყეში გზა დაეკარგათ. შეძრწუებული მირიანი ამაოდ ევედრებოდა თავის ღმერთებს, მხოლოდ ნინოს ღმერთმა იხსნა მეფე ამ გასაჭირიდან. დედაქალაქში დაბრუნებულმა მირიანმა თვითონაც მიიღოო ქრისტიანობა და შემდეგ მცხეთელებიც მონათლაო“. (საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1948:90-91).

საქართველომ ძალიან რთული პერიოდი გამოიარა. ქართველი ხალხი საკუთაარი სიცოცხლის ფასად იცავდა რელიგიას, სწორედ ამიტომ ძველ ქართულ ლიტერატურაში მრავლად გვაქვს წმინდა ასულის ცხოვრება-მოღვაწეობა აღწერილი. ამით მოაზროვნე ფენა ცდილობდა გაეღრმავებინა ხალხის ხსოვნაში წმინდანის ღვაწლის მნიშვნელობა და ურწმუნოებთან ასიმილაცია აერიდებინათ თავიდან. XIX საუკუნის დამდეგიდან რელიიგიის ქადაგებას უკვე მწერალთა შემოქმედებაშიც ვხვდებით, ამით ისინი ცდილობნენ ადამიანის ორი მნიშვნელოვანი ძალა: ცოდნა და რწმენა გაეერთიანებინა, რადგან მხოლოდ რელიგიას შეეძლო საზოგადოების გაერთიანება, ერთმუშტად შეკვრა და გაძლიერება.

წმინდა ნინოს შესახებ ილია წერს: „წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“.(ი. ჭავჭავაძე, 1928-351). ილისა სიტყვებს ეხმიანება აკაკი წერეთლის პოემის „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“, რომელშიც აკაკი მოგვითხრობს საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად წმინდა ნინოს შემოსვლას და მის რთულ გზას ხალხის მოსაქცევად.

ვახტანგ ორბელიანის ლირიკული პოემა „ჯვარი ვაზისა“ მოგვითხრობს: ქარიშხლით აზვირთებულ შავ ზღვას შეუპოვრად მიაპობს ნავი; „ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი აფრასა! ზღვა დასსძლევს ნავსა, თუ ნავი - ზღვასა? “ შეურყეველად მქროლავი ნავი სძლევს ბუნების სტქიას და მიადგება კოლხიდის ნაპირს. საქართველოს მიწაზე ვაზისჯვით ხელში ფეხს დგამს წმინდა ნინო, ასული, რომელსაც მხოლოდ „სიკეთისათვის უძგერდა გული !“

„მოდის ასული ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,
არ ეშინია შიმშილისა, არც უგზო გზისა;
ვერ აბრკოლებენ მას ჭაობნი, ვერცა მდინარნი,

ვერც ფრიალონი, უფსკურლნი და მთანი მყვირალნი;

არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის:

დედა წმინდისა წილხდომილსა ქვეყანას მიდის.”

(ორბელიანი, „ჯვარი ვაზისა“, 1949:32)

ვაზის ჯვარი და წმინდა ნინო პოეტისათვის არის ერთი მთლიანობა. ნინოს სურს მოაქციოს კერპთმსახური ქრთველი ხალხი. აღანთოს მათში ქრისტეს წმინდა ლამპარი. ცრემლომრეული წმინდანი ქართველ ხალხს ღმერთს ავედრებს. საპასუხოდ კი:

„ცამ მოიკრიბა, რაც ჰქონდა ძალი

და მიწას დასცა ცეცხლი და ალი:

მთანი და ბარნი დასქდნენ, დაიყვნენ,

კერპთმსახურთ-ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ ...“

(ორბელიანი, „ჯვარი ვაზისა“, 1949:33)

ღვთის მადლით მოსილმა წმინდანმა შეძლო ერი მოებრუნებინა ურწმუნობიდან ჭეშმარიტებისაკენ. მისი წყალობით ჩვენზედ ღვთის მადლი გადმოვიდა . პოეტის აზრით ნინოს ქადაგებამ და ჭეშმარიტმა რელიგიამ ქვეყანას მოჰფინა: მშვიდობა, სათნოება, ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება.

„ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა

მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა:

წმინდა ასული, წმინდა ნინო ცამ მოგვივლინა,

ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივიმან შენ მოგფინა.

მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი, ერი ველური,

მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური;

ქვეყნდა მშვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გუსლათნოება

„ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება!“ “

(ორბელიანი, „ჯვარი ვაზისა“, 1949:34)

ვახტანგ ორბელიანს რეალობის შეგრძნება სევდას გვრის. წარსული დიდებულია, აწმყო კი ბურუსით მოცული, უსიცოცხლო და უსახური. თუმცა აქ პოეტი „ვაზის ჯვრის მარადიულ ძალას გრზნობს და ამბობს:

„არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი ვაზისა! ... მადლი ამ ჯვრის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!“

(ორბელიანი, „ჯვარი ვაზისა“, 1949:35)

როდესაც ვახტანგ ორბელიანის პოაემა „ჯვარი ვაზისას“ ვკითხულობთ, გვახსენდება ანა კალანდაძის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით“, რომელიც იდეურად ეხმიანება ამ პოემას. ამ პატარა ლექსში ავტორმა შესანიშნავად გამოსცა ნინოს შემოსვლა და ქრისტიანობის შემოტანა საქართველოში. ლექსი გარემოს აღწერით იწყება, აქაც პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოს რომელიც ხდება საქართველოში შემოსულ წმინდა ნინოს, თითქოს ბუნება ელის მოსალოდნელ ცვლილებას. მგზავრს ხვდება წინააღმდეგობა, მაგრამ არაფრის ეშინია, ვერაფერი აბრკოლებს, პირიქით ის ამშვიდებს გარემოს, რადგან მოდის ქალწული, რომელსაც მნიშვნელოვანი მისია აქვს შესასრულებელი.

„ლურჯ მწერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...“

(ანა კალანდაძე, „მოდიოდა ნინო მთებით“)

“„სანატრელიო“ ასეთი ეპითეტით წარმოაჩენს პოეტი ვაზის ჯვარს, რადგან მართლაც ძალიან დიდი მოლოდინი იყო ნათლისა, რომელიც შემოდიოდა ქრისტეს სახით საქართველოში. აქ მნშვნელოვანია „ვაზის ჯვარი“, მსოფლიოში უამრავი ქრისტიანი ხალხი არსებობს და ყველას აქვს თავის ჯვარი მაგრამ არავის არა აქვს „ვაზის ჯვარი“. ნინო ვაზისაგან, ვაზის ნასხლეტისაგან გააკეთა ჯვარი და თავის თმებით შეკრა ასეთი გადმოცემა არსებობს, ვაზი საერთოდ სიმბოლო არის ნაყოფიერებისა, სიცოცხლისა და ქარტველები ქრისტიანობამდეც სცემდენ მას თაყვანს.” (https://www.youtube.com/watch?v=JMLAJyVf6Ro)

„წმინდა ნინო მოდიოდა საქართველოში და თან მოჰქონდა ვაზის ჯვარი. ამ ჯვრით უნდა დაელოცა ხალხი, უნდა დაენერგა აზალი რწმენა. თითქოს და მოულოდნელია ჯვრის ვაზისაგან გაკეთება მაგრამ ნინოს უნად სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდითგან აღმერთებდენ. ისინი არ იცნობდენ ქრსტიანობას, მაგარამ ცნობდნენ ვაზის ძალას. ამიტომ ქართველები ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ. ჯვარი ვაზისა ნინოს თავისი თმებით შეუკრავს. თმები, ძველთაძველი წარმოდგენით მზის სხივის სიმბოლო იყო. ვაზის თმებით შეკვრა მზისა და ვაზის ერთიანობას მოასწავებდა. ამგვარი ჯვრით ნინოს ხალხი უნდა მოენათლა, ეს სიტყვაც ნიშნავს, რომ ნათელი უნდა შეეტანა ადამოანებში“. (სირაძე. 1982, 26-27)

სწორედ ვაზისგან ყველაზე ძვირფასი რამისაგან შეკრა ნინომს ჯვარი, ამიტომაც მნიშვნელოვანი სიმბოლოა ვაზის ჯვარი ქართვლებისთვის.

საქართველოში შემოსულ წმინდანს წუთით თითქოს შიშის გრძნობა ეუფლება, მაგრამ მისთვის რწმენა იყო დიდი პასუხისმგებლობა, მან იცოდა, რომ დიდი მისიის აღასასრულებბლად მოდიოდა ღვთისმშობლის წილმხვედრ ქვეყანაში და რათქმაუნდა ეს რწმენა მას ძალას მატედა.

„გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა

მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?

თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა

და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...“

(ანა კალანდაძე, „მოდიოდა ნინო მთებით“)

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა ქალწული ნინო შემოვიდა საქართველოში, იქადაგა ქრისტიანობა, გაანათლა ქვეყანა და იქცა ჩვენ განმანათლებლად. ის არის მოციქულთა სწორი, სულიწმინდის ქნარი, როგორც მას უწოდებენ.

აღნიშნულ საკითხს ვახტანგ ორბელიანი კვლავ უბრუნდება ლექსში „იანვრის თოთხმეტს“. ეს ლექსი იდეური ჩანაფიქრითა და სტილური ნიშნებით განხილული პოემის ვარიაციისა წარმოადგენს, თუმცა პოეტს მასში ზოგი რამ საიახლეც შეუტანია. ლექსში კვლავ ხაზგასმულია ქათველი ერის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოებისათვს. განმანათლებელი წნინდა ასული წარმომგზავნი ღვთაება დაბეჯითებით ირწმუნება, რომ საქართველო:

„ჩემი სახელით მრავალ ას წელს ვხედავ, რომ იბრძვის,

იმის სისხლითა მის მთა-ბარი, მის მიწა ირწყვის;

ეკლის გვირგვინი ადგას თავს მას მუზარადადა

და ჩემი მცნება გულ აქვს დროშად, აბჯარ-აბგარად“.

(ორბელიანი, „იანვრის 14-ს“, 1949:134)

რწმენით გულანთებული ქართველი ხალხის ბრძოლა წარმატებით სრულდება. ქვეყანა იხსნის ეკლის გვირგვინსა და ღვთის წინაშე მუხლმოყრილი ლოცულობს. შეიძლება პარალელი გავავლოთ ილიას უკვდავ სიტყვებთან პოემა „აჩრდილიდან“.

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,

რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!

ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,

ეკლიანს გზაზე შენებრ სხვასა რომელს უვლია?“

(ჭავჭავაძე, „აჩრდილი“, 2012:141)

ჯვარცმული და წამებული საქართველო იყო ვახტანგ ორბელიანის მწვავე და მტანჯველი სადარდებელი, თუმცა ის ღვთის ძალაში მის მაადლშ ხედავდა შვებას, რომელიც საქართველოზე გადმოვიდა წმინდა ნინოს მეოხებით.

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში 80-იან წლებიდან იჭრება რეალიზმის სხივი, პოეტი ცდილობს გონების თვალით განჭვრითოს არსებული სინამდვილე და ერი გამოაფხიზლოს. აჩვენოს მისი ავ-კარგიანობა, ამიტომაც მის პოეზიაში თავი იჩინა მკვეთრად გამოხატულმა რელიგიურ-მორალისტურმა ნაკადმა. „სულიერად და ხორციელად დაღლილ-დაქანცული პოეტი, რომელიც აწმყოში სანუგეშოს ვერაფერს ხედავს რელიგიურ გრძნობაში ცდილობს ტკივილების დაყუჩებას, მისი შეშფოთებული გონება მხოლოდ იმ ქვეყანაშიღა ეძიებს ნუგეშს.“ (ახალი ქართული ლიტერატურა. 1956: 218)

მორალისტური ტენდენცია ხშირად დაკავშირებული და შერწყმულია მისი პოეზიის ქრისტიანულ მოტივებთან. ჩვეულებრივ, როდესაც ვახტანგ ორბელიანი სასურველ და მოსაწონ ადამიანს ასახელებს და მისი ქცევის სურათს გვაწვდის, იგი თითქოს ჩამოთვლის იმ თვისებებს, რომელთაც ასეთი ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს.

ლექსებში „კაცი ის არის“ და „ქალი ის არის“ ვახტანგ ორბელიანმა ჩამოაყალიბა ადამიანური მორალის ზოგადი კოდექსი, გვაჩვენა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი კაცი და ქალი. პოეტის გაგებით ისაა ღირსეული კაცი, ვინც მშიერთ დააპურებს, ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმნდს:

„კაცი ის არის
ვისაც გულს ესმის
ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა“
და სიყვარულით

აღვსილის გულით

დავრდომილ ძმათა მოეხმარება;“

(ორბელიანი, „კაცი ის არის“, 1949:72)

პოეტის დახასიათებით ღირსეულ კაცს ასევე უნდა ჰქონდეს ღვთის რწმენა რადგან მხოლოდ „ საქმით ქველთ“ არის შესაძლებელი „მიახლოება მაღალ ღვთაებასთან“, „ზიარება ჭეშმარიტებასთან.

„ვინც საქმით ქველით,

გონებით, სწავლით

მიახლოვდება მარალ ღვთაებსა;

ვინც ცდილობს მისწვდეს

და ჭკუით მიხვდეს

საღმთო განგების იდუმალ ნებას, -

გამოიძიოს,

გამოიკვლიოს

დიდი უსაზღვრო ღვთის ქმინელბა,

და ჰპოვოს მასში,

იმ ღთის დიდ ღვაწლში

მის საიდუმლო: ჭეშმარიტება.“

(ორბელიანი, „კაცი ის არის“, 1949:73)

ასეთივე ღირსეული თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ნამდვილი „ქალი“. ღვთის რწმენა, მისთვის განკუთვნილი მოვალეობის წმიდად შესრულება, სათნოება- ეს ისი ძირითადი თვისებებია, რომელსაც უნდა ატარებდეს ქალი.

„ქალი ის არის,

ვინც რომ ნათლად სჯის

და არ მიჰყვება ამ სოფლსი ცდომას;

ცინცა ნათლად ჰგრძნობს

და ვინც არ დასთმობს

მისთვის თვის დიდსა მოვალეობას;“

(ორბელიანი, „ქალი ის არის“, 1949:87)

ქალი უნდა იყოს ჭირთა მთმენი, ამა ქვეყნის ეკლიან გზაზე მტკიცედ და შეუცდომლად მავალი, რასაც უნდა განაპირობებდეს მისი რწმენა. ღვთის სიყვარული უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს მის სულს:

„აქვს გული წრფელი,

სული ნათელი,

ვის მზაკვარ თვალი ვერ შეჰხებია,

და სათნოება

სარწმუნოება

მთლად თავის არსშ ღრმად უმარხია;

(ორბელიანი, „ქალი ის არის“, 1949:88)

რელიგიურ-მორალისტურ თემაზეა დაწერილი ლექსი „ვიდექ შენ წინა“ სადაც გადმოცემულია ვახტანგ ორბელიანის ქრისტიანული-ფილოსოფიური შეხედულება სიკვდილის შესახებ. ღრმადმორწმუნე პოეტი გვეუბნება, რომ ცოცხალი არსება, რომელიც კვდება ამ ქვეყანას სამუდამოდ ტოვებს, თუმცა მიემგზავრება მარადიულ ქვეყანაში, სადაც ყველასა და ყველაფერს დიდების შუქი მოსავს.

„სადაც რაცა არს, ყველა არს უკვდავებითა მოსილი;

სადაც არ არის არც ჟამი, არც დღე, არც ღამე არ არის,

სადაც მნათობთ წილ მარადის მნათობს ნათელი ღვთაების,

სად სიყვარული წმინდა არს და წმინდის ალით ეგზნება.“

(ორბელიანი, „ვიდექ შენ წინა“, 1949:6)

1889 წელს პოეტსი გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, დაიწერა ლექსი „დიდის კარის წინ“, რომელშიც პოეტი ერთგვარად ემშვიდობება ამქვეყნიურ ცხოვრებას. აჯამებს თავის გავლილ გზასა და ტითქოს ბედნიერია იმქვეყნად თავისი რიგის აღებისათვის. ეს სოფელი მისთვის მხოლოდ ტანჟვა-წამების მომტანი იყო, ამიტომ ამბობს პოეტი:

„მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემს რიგსა,
სოფლისგან გულით დაწყლულებულ,-
 რაც მე გამტანჯა
და რაც განმსაჯა
მასა გრძნობს შენი ეგ წრფელი გული.“

(ორბელიანი, „დიდი კარის წინ“, 1949:136)

ლექსში „ ლოცვა“ კი გადმოცემულია ღვთის მორწმუნე ადამიანის მხურვალე განცდები. ტაძარში შვების მისაღებად შესული პოეტი შენდობას სთხოვს უფალს, ტაძრის ქვას სწირავს წმიდნა ცრემლებს და გძნობს, როგორ გადმომდის მასზე „უფლის მადლი“ და როგორ ევსება გული სიხარულით.

„დავრდომილსა ვედრება მომისმინე,
საკმეველად მიმიღე ცხარე ცრემლი,
რაც შეგცოდე, შემინდვე, მომითმინე
კვლავ მომფინე შენი სხივი ცხოველი.
. . . . . .
გევედრები, ცრემლს ვღვრი ტაძრის ქვაზედა
და ცად აწევს გულ მხურვალე ვედრება,
და გარდმოდის მის მადლი ჩემს თავზედა
და არსი მთლად სიხარულით მევსება;“

(ორბელიანი, „ლოცვა“, 1949:113)

მსგავს მოტივეზეა შექმნილი ვახტანგ ორბელიანის კიდევ ერთი ლექსი „დიდ მარხვის ლოცვა“, რომელშიც პოეტი დიდი სასოებით აღწერს დიდმარხვის გალობის მოსმენისაგან გამოწვეულ გძნობებს. გალოვა მის ყურს ჩაესმის, როგროც არაამქვეყნიური, ზეციური ჰანგებით.

„რა მომესმის გალობა დიდი მარხვისა
და მის სიტყვა, არ ამ სოფლის ციური,
გულს შორდება მწკივლი ძმათ განკიცხვისა
და გარდმოდის ჩემზედ მადლი ღვთიური.“

(ორბელიანი, „დიდ მარხვის ლოცვა“, 1949:80)

ვახტანგ ორბელიანი ამ სტრიქონში ჩანს, როგორც საკუთარ თავთან დარჩენული ადამიანი, რომელიც საკუთარი სულის გადასარჩენად იბრძვის. ის ამ გზაზე არ განიკითხავს თავის მოძმეთა, მათი უმანკო, თუ მანკიერი მხარეებით. ამ სიტყვების მოსმენისას გვახსენდება ერთერთი არაკი: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“ არაკის მოკლე შინაარსი ასეთია: „ ერთ-ერთი მონასტრის ორი ბერი ქალაქში იყო წასული საკვების შესაძენათ. მათ შემთხვევით შენიშნეს თავიანთი ძმა, რომელიც უცნობი სახლიდან გამოვიდა, ისინი მიხვდნენ, რომ მან მძიმე ცოდვა ჩაიდინა. მონასტერში დაბრუნებისას ძმებმა ყველაფერი წინამძღვარს უამბეს. წინამძღვარმა, როგორც კი მოისმინა შეწუხებულმა წამოიძახა, დიდი ბოროტება ჩაიდინა მან!. საღამოს, როცა წინამძღვარმა ლოცვა დააპირა მას ანგელოზი გამოეცხადა, მის მიერ განკითხული ძმის სული წარუდგინა და უთხრა: - აი ის შენ რომ განიკითხე, მოკვდა, შენ ხომ ცოდვილთა და მართალთა მსაჯული ხარ, მაშ მითხარი სად მიბრძანებ მისი სულის განწესებას! „სასუფეველში“ თუ „ჯოჯოხეთში“? ბერი მიხვდა, რომ ძმის განკითხვით უმძიმეს ცოდვაში ჩავარდა და უფალს პატიება შესთხოვა... განვლო დღეებმა, ბერი დიდი სინანულითა და ცრემლით ევედრებოდა უფალს შეწყალებას. ღმერთმა კვლავ მოუვლინა თავისი

ანგელოზი, რომელმაც აუწყა: - აი გაჩვენა შენ ღმერთმა სიმძიმე განკითხვის ცოდვისა, ახლა შეგიწყალა, მაგრამ ნუღარ განიკითხავ. ამ შემთხვევის გამო ბერი დიდ სინანულში ჩავარდა, უდაბნოში გავიდა და იქ მკაცრ მარხვასა და მოღვაწეობაში გაატარა მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება. პავლე მოციქული ბრძანებს: „შენ ვინ ხარ, რომ განსჯი სხვის მონას? დგას თუ ეცემა ეს მისი ბატონის საქმეა“. ((https://www.youtube.com/watch?v=qgy1aa_xbTM)

ღრმად მორწმუნე ჩვენი პოეტიც მსგავსად მოგვიწიდებს, და გვეუბნებ, რომ მხოლოდ უფალი ხედავს ჩვენს გულებს და მხოლოდ ის არის ჩვენი ერთადერთი მსაჯული. ამიტომ მისი გული სიწმინდით და სინათლით ივსება. ის თოთქოს თავიდან იბადება. ავიწყდება „ამა სოფლის ვაება“, მის გულსა და გონებას მთლიანად ღვთის სიყვარული მოეფიინება, ამიტომ სთხოვს უფალს გულმხურვალედ, რომ შეუნდოს ცოდვები და მიიღოს მისი ლოცვა, მას რაც შეუძლია ერთადერთი მისთვის ლოცვა და ცრემლის ღვრაა.

„წარემართოს ლოცვა ჩემი, უფალო,
შენ წინაშე, ვითარცა საკმეველი.
ხელს აღვიპყრობ შენდა, ღმერთო მაღალო,
ეს არს შენდა სამწუხარო ჩემ მსხვერპლი;
მომისმინე, მომისმინე უფალო!“

(ორბელიანი, „დიდ მარხვის ლოცვა“, 1949:80)

ამდენად ვახტანგ ორბელელიანის შემოქმედება ახასიათებს მკვეთრად გამოხატული რელიგიურ-მორალისტური ნაკადი. მის შემოქმედებაში ვერ შევხვდებით მოწოდებას ბრძოლისა და მტრობისაკენ. პირიქით მთელი მისი ლირიკული პათოსი რელიგიური სიმშვიდითაა გაჯერებული. შეიძლება ითქვას, რომ პოეტმა ქრისტიანულ რელლიგიას შეაფარა თავი.

თავი VII სოციალურ-დიდაქტიკური თემატიკა

ვახტანგ ორბელიანი სამშობლოსათვის გულანთებული პატრიოტი რომანტიკოსი გახლდათ. ის ქვეყნის სატკივარით იტანჯებოდა და განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს. წარსულზე შეყვარებული პოეტი ძველი ქვეყნის პატრონყმურ ურთიერთობაში ხედავდა მამა-შვილურ დამოკიდებულებას. ისინი ზრუნავენ ერთმანეთზე და შრომობენ ერთმანეთის საკეთილდღეოდ.

„უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი - ყმანი, -

მისთვის ის ყმანი არიან ძმანი, -

მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,

მათ საუბარი უმზაკვრო ენა.

ყმას ყავს პატრონი არა ბატონი:

ერთნი არიან ყმა და პატრონი!“

(ორბელიანი, „განკითხვა“. 1949:40)

პოეტის აზრით, ძველი საქართველოს თავადაზნაურობა არ ჰგავს დღევანდელს, ძველი ქვეყანა იდეალური იყო.

„ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,

მწარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვგვანან“.

(ორბელიანი, „განკითვა“, 1949:45)

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ორბელიანი არ მისტირის მხოლოდ წარსულ წყობას, არამედ ახალი ეპოქის ქროლვაც შეიგრძნო, რეალიზმის გავლენიდან გამომდინარე და გვეუბნება:

„შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,

იმათ ბაღში და იმათ ვენახშია,

დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი...“

(ორბელიანი,„პოეტს“, 1949:150)

ვახტანგ ორბელიანი სოციალურ საკითში ახალი ეპოქის ქროლვით მივიდა, დიდი სამოციანელების გავლენით. ის საზოგადოების კრიტიკას მიმართავს, ცდილობს გააღვიძოს ერი და შრომისაკენ მოუწოდებს.

„და ჩვენც მაღლა გვამხილე, რაც გვჭირს ავი,

სიზარმაცე და უმეცრება შავი!“

(ორბელიანი,„პოეტს“, 1949:150)

ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, რომელიც 1883 წელს დაიწერა ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..“ გავლენით. ვახტანგ ორბელიანის ლექსზე მსჯელობისათვის საჭიროა პირველად თვით ილიას ლექსი მოვიგონოთ. იგი ასეთია:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომმავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“

(ჭავჭავაძე, „ჩემო კარგი ქვეყანავ“, 2012:97)

ილია ჭავჭავაძის ლექსი 1872 წელს დაიწერა, ხოლო თერთმეტი წლის შემდეგ გამოაქვეყნა ვახტანგ ორბელიანმა თავისი ლექსი. ილიას იმედით სავსე, ბრძოლით ანთებულ სულს პოეტმა გულგატეხილობა და უიმედობა დაუპირისპირა.

„ვახტანგ ორბელიანის “სამშობლო ქვეყნის პასუხი“ წარმოადგენს თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრ კრიტიკას, რომელშიც მომავლის ურწმუნოების სკეფსისიც მოჩანს. პოეტი იგონებს სამშობლოს ძნელბედობის პერიოდებს, როცა დამპყრობელი აგრესორები - არაბები, თურქები, სპარსელები, ლეკები - აოხრებდნენ საქართველოს. მებრძოლთ სისხლითაა მორწყული საქრთველოს მთა და ველები.

ქართველებს არ ჩაუგიათ ქარქაშში ხმალი, „ ერთის ხელით ხმლით მდგარა, ერთით უმუშავნია“. ქართველი პატრიოტების გმირული შემართება და ვაჟკაცობა წარსულს ჩაბარდა. აწმყოში მდგომარეობა შეიცვალა. პოეტი სატირის შხამით გესლავს არისტოკრატიულ ახალგაზრდობას, რომელმაც სამშობლოს აღდგენისათვის თავგანწირული ბრძოლა მცონარეობასა და ბიწიერებაზე გაცვალა“. (ჟღენტი 1965: 40-41)

ვახტანგ ორბელიანი ილიას შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„მკითხავ ჩემო პოეტო: რაზედ მოგიწყენია?
ნება მომეც მეც გკითხო: შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია!“
მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია!“

(ორბელიანი, „სამსობლო ქვეყნის პასუხი“, 1949:83)

ლექსის მომდევნო სტრიქონებში პოეტი კიცხავს თანასაზოგადოებს მანკიერებათა გამო. კიცხავს ერს, რომელსაც ასეთი დიდებილი წარსული აქვს და წინაპართა მტკიცედ გადგმულ ფესვებზე უდგამთ ფეხი, თუმცა ვერაფერი უგრძვნიათ, ღირსება დაკარგული დაიარებიან.

„ზოგთა თვისი ქონება ბითურ-ცხრაში წააგეს
და თავისი ცოლ-შვილი მშიერ გლახად დააგდეს!
ზოგთ დავა-დარაბაში დაჰღუპეს, რაც ებადათ!
რაც ქველ მამა-პაპატგან მათ დარჩენოდათ ბედად!“

(ორბელიანი, „სამშობლო ქვეყნისის პასუხი“, 1949:83)

„ამ ლექსში ვახტანგ ორბელიანმა ახალი ეპოქისა და ახალი ადამიანების წინააღმდეგ სამშობლო მიწა აამეტყველა. მშობლიური მიწა იმის გამო ჩივის, რომ მას ახლა ძველებური პატრონი აღარ ჰყავს. ნაცვლად ადრინდელი საქმიანი, მზრუნველი და გულშემატკივარი შვილებისა, ახლა ქვეყანას პატრონობენ ისეთები, რომლებიც

„ცხოვრების არცოდნით ვალებში იხრჩობიან“. ქვეყნად გაბატონებულია შური და მტრობა, ძმა ძმას აღარ ინდობს, შვილს მამა ვეღარ გაუტანია, - აი მიზეზი სამშობლო ქვეყნის გოდებისაო, - გვეუბნება ჩვენი მგოსანი. ეს ისეთი საყვედურია, როგორიც პესიმისტური რომანტიზმის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ახასიათებს ახალი თაობის მიმართ... ოდესღაც სიცოცხლისუნარიანი და საქმიანი ფეოდალური კლასი დაცემისა და დაქვეითების გზას დაადგა. მისი ახალი თაობა გამოუვალ ჩიხში მოექცა: ცხოვრებას ალღო ვერ აუღო, შექმნილ საზოგადოებრივ მდგომარეობას თავი ვერ გაართვა და დღითიდღე უფსკრულისაკენ მიექანება. ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ქართველი ადგილ-მამულს ვალებში აწინდრებს და ამის გამო იგი თვით ხდება მონა „სხვადასხვა ურიათა“. (მახარაძე, 1982:243)

„ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან;
სხვა და სხვა ურიანი ჩემ პატრონად დგებიან,
ჩემთ დამცველტა ძეთ ძენი მათ მონებად რცებიან!
ისინიც არ ვარგანან თუ ვინმე მათ სჯობნიან:“

(ორბელიანი, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, 1949:83)

ვახტანგ ორბელიამა თავის საპროგრამო ლექსში „პოეტს“ პოეტის ერთ-ერთ დანიშნულებად მიიჩნია გლეხკაცის მძიმე ყოფის აღწერა და მათთვის შრომის შემსუბუქება, მათი ლხინისა თუ ჭირის გაზიარება, ამ ლექსში პოეტი აქტიურად დგას თავის უმცროს ძმათა გვერდით. აკრიტიკებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს თავადაზნაურობა, რომელთაც არ დაიცვეს ქვყნის დაბალი ფენა და ჩარჩებს მიუგდეს საჯიჯგნად.

„შეხედეთ თქვენ უმცროსთ ძმათ, ჩემს უმცროს ძეთ - გლეხებსა,
როგორც თქვენ, ისინიცა ჩემის გვამის სახსრებსა.
რატომ ვერ მოუარეთ? რად ჩაუგდეთ ჩარჩებსა?
ავაზაკთ, სისხლის მსმელთა, მყრალს, ავშანს და ღვთის მტრებსა“

(ორბელიანი, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, 1949:84)

ამ რეალობაში მოყოფი პოეტის სული და გული განადგურებული და დამძიმებულია, ამიტომ არის, რომ მის გულს ვეღარაფერი ახარებს. პოეტი თითქოს უწყრება ჩვენს მგოსანს, მაგრამ სინამდვილეში ეს წყრომა და კიცხვა ხალხისკენაა მიმართული. ის ცდილობს გონებადაბინდული საზოგადოება ამგვარად მაინც წამოაყენოს ჭაობიდან და ცხოვრების ქროლვაში ჩააბას. ლექსის ბოლოს კი ჩანს გულგატეხილი პოეტის სიტყვები:

„ტკბილის ლექსებისათვის ჩემს გულს აღარ სცალიან:

ჩემ ბატონად, პატრონად ძუნწნი ჩარჩნი დგებიან.“

(ორბელიანი, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, 1949:84)

60-იანი წლები ეს ის პერიოდია, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოების დაბალი ფენის ცხოვრებითა და ბედით დაინტერესება. დაიწყო მმართველი ფენის მანკიერი მხარეების გამომჟღავნება. ეპოქა თხოულობდა, რომ სამართალი: სუსტის, დაჩაგრულისა და დაბეჩავებულის მხარეს დამდგარიყო. ეს საკითხები ცხადია ლიტერატურამ წამოწია წინა პლანზე. ამ იდეის ფრთაშესხმაა ვახტანგ ორბელიანის ერთ-ერთი მცირე პოემა „დედოფალი“.

ნაწარმოების მოკლე შინაარში ასეთია: ჭაბუკი მეფის წინაშე დგას მშვენიერი ტურფა ასული, რომლის სილამაზითა და სიტურფით აღფრთოვანებულ მეფეს ერთი ნახვით შეყვარებია ქალი. მეფე აღუთქვამს ასულს ულევ სიმდიდრეს, სასახლეებს მორთულ მოქარგულს, მთელი სამეფოს პირდება საჩუქრად, ოღონდაც კი ცოლად გაყვეს. ან კიდევ შორს გაიჭრება საბრძოლველად მისი გულისათვის. პირველი სიყვარულით მძლავრდად აღელვებული მეფე ასე მიმართავს მშვენიერ ქალს:

„კმარა! შენია ჩემი სკიპტრ, ჩემი პორფირი,

სამეფო ტახტი, მის უფლება და ჩემი ერი!..

ბრწყინვალე გვირგვინს უკეთესი მაკლია თვალი,

შენ ხარ ის თვალი, ქალთა თვალი და დედოფალი!“

(ორბელიანი, „დედოფალი“, 1949:69)

ტურფა ასულმა მშვიდი თვალებით შეხედა მეფეს და დინჯად უთხრა, რომ მისთვის არავითარი ფასი არა აქვს მეფის დიდ საუნჯეს. ის სიამაყითა და ღირსებით ანთებული განაგრძობს, რომ მშობლებმა სულ სხვანაირად აღზარდეს, ჩაუნერგეს ერისა და ქვეყნის სიყვარული და არა დიდებული პალატებისა და ძვირფასი სამკაულების. ის მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც დაჩაგრულს დაიცავს, მშიერს დააპურებს, მტირალს ცრემლს შეუშრობს. მშვენიერი ქაალი ჭაბუკ მეფეს ცოლობას აღუთქვამს, შემდეგი პირობით:

„მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია - ყოფა ნებისა!
ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ.
შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმდიდრე,
იმის სიმდიდრე და მის შრომა მასვე ახმარე.
ქვრივი, ოხერი, შეიწყალე და შეიბრალე
და დავრდომილი სახლი-არე მას გაუახლე;
მშიერის ობლის ცრემლთან, მეფევ, ცრემლი აფქრვიე,
და ის ობოლნი გულს ჩაიკარ და მოეხვიე.“

(ორბელიანი, „დედოფალი“, 1949:70)

„ჭაბუკი მეფე განცვიფრებაში მოიყვანა ქალის ასეთმა აზრმა. მისი წრფელი, ჯერედ ნორჩი და წმინდა გული ახლა მიხვდა თავის, როგორც მეფის, მოვალეობას, „მიხვდა თავის ტახტის დიდებულის ტვირთსა და ვალსა“. სიამოვნებით მიიღო ტურფა ასულის რჩევა-პირობა“. (ზანდუკელი, 1972:348-350).

ვახტანგ ორბელიანს კარგად ქონდა გაგებული, რომ საქართველოს ძველი პერიოდი მეფე ერეკლესთან ერთად დასრულდა. ახალმა დრომ სიახლეებით შემოანათა

და აქ უკვე სხვა იარაღებით ბრძოლა იყო საჭირო. ფარისა და ხმალის ნაცვლად საზოგადოებას კალამი უნდა აეღო ხელში. სწავლითა და გონით უნდა გადაერჩინა საკუთარი თავი და დაეცვა სამშობლო. ამიტომ მამულისშვილთ მოუწოდებს წიგნი აიღონ ხელში და განათლებას დაეწაფონ.

მოვიშველიოთ ილია ჭავჭავაძის დიდებული აზრი ცოდნაზე: „ცოდნა... თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი სადაც წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია... ცოდნა თითონ თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომრაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა , თუ არა მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა. სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, - სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო. სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავისდღეში არა: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდამ შვილისშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული. ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, - ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაცა“ (ჭავჭავაძე, 1938:275-276)

ილია ჭავჭავაძის აზრებს ეხმიანება ვ. ორბელიანის მიერ „თბილისის პირველის კლასიკურის გომნაზიის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობაზედ 1881 წ. სექტემბრის 27-ს“ წარმოთქმული სიტყვები, პოეტი ასე მიმართავს დამსწრე საზოგადოებას, მოსწავლე ახალგაზრდობას:

„სწავლა კაცს აძლევს მისს უმაღლეს საჭიროებას:
პურს - უპუროსა და მონასა თავისუფლებას.
. . . . . .
სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური:
სწავლული იყოს თუმცა ღონით, ძალით უძლური,
მაინც მისია ეს ქვეყანა და მის დიდება;
ვით მზე ნათელი ნათელია სწავლის უფლება.
თქვენის სამშობლოს თქვენსკენა რბის გული და თვალი;
ისწავლეთ, ძენო, თქვენ ხელთ არის მის მომავალი!“

(ორბელიანი, 1949:60)

პოეტი ძალასა და ნათელ მომავალს ცოდნაში ხედავს. ყველამ უნდა ვისწავლოთ და ვიშრომოთ ერთად რათა ერთმანეთს დავეხმაროთ, დავრდომილი ფეხზე წამოვაყენოთ და მშიერი დავაპუროთ. ამიტომ ვახტანგ ორბელიანი ადამიანს შრომითა და სასარგებლო საქმით აფასებს და ძმობის, ერთობისა და სიყვარულისაკენ მოუწოდებს:

„ვინც ოფლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით
დედამიწასა და მის წიაღსა...
აპობს და არღვევს,
დაღალვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს

და იმ ტკბილ ნაყოფს

ქვრივ-ოხერთ უყოფს

და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.“

(ორბელიანი, „კაცი ის არის“, 1949:72)

ჩვენს პოეტს თავისი შემოქმედების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ისეთი შემოქმედებითი პათოსი ჰქონდა ამორჩეული, რომლითაც ერის სულს აამოძრავებდა, ერთმანეთის სიყვარულს ასწავლიდა, საზოგადოებას საერთო საქმეში თანადგომისაკენ მოუწოდებდა და რაც ყველაზე მთავარია გლეხის ბედით ინტერესდებოდა. კიდევ და კიდევ გვაგონდება დიდი ილიას სიტყვები, რომელსაც მხედრის ენით გვეუბნება:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,

ეგ ვერაფერი სიყვარულია,

სიტყვა ის არის კაცს ის გიყვარდეს,

ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

(ჭავჭავაძე, 2012:158)

ცოდნით განათებულ შრომას შეუძლია მამულის ჭეშმარიტი აყვავება. პოეტი ხმით ასეთი ხმით მიმართავს თანამემამულეებს:

„ძენო იგონეთ,

ოფლით იშრომეთ:

ოფლით, შრომითა აღმოცენდება

ტკბილი ნაყოფი,

ჩემს მკერდში მყოფი;

თქვენთვის არს იგი, სხვას ნუ დარჩება!“

(ორბელიანი, „ხმ სამშობლო ქვეყნისა“,1949:85)

ვახტანგ ორბელიანი მამულიშვილთა ინტელექტუალური და ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას და

მის გვირგვინს „ვეფხისტყაოსანს“. პოეტი განსაკუთრებული მოწიწებას იჩენდა დიდი მგოსნის რუსთაველისადმი, რადგან მის პოეზიაში ხედავდა მთელ სულიერ საზრდოს, ცხოვრების მთავარ ფასეულობებს, საქართველოს კულტურასა და ისტორიას. აკი ამბობდა კიდეც პოეტი თავისი მეგობრის დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილ ლექსში:

„მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა რუსთველის დიდი ქმნილება,

იმის ფურჩვნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ“.

(ორბელიანი, „ძველ მეგობარს“, 1949:92)

ან კიდევ გავიხსენოთ გულანთებული ჩვენი პოეტის ღაღადისი რუსთაველის პოეზიისადმი.

„მე მომეცით კილო რუსთაველისა,

გაფურჩვნილი, ვით ყვავილი ველისა,

მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,

ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი“.

(ორბელიანი, „პოეტს“, 1949:149)

სწორედ ამიტომ მიუძღვნა ვახტანგ ორბელიანმა ქართული პოეზიის გენიას ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები - „ობოლი“ და „ნანგრევთა შუა ლამპარი“.

„ობოლი“ ლირიკული პოემაა, რომელშიც პოეტი ძირითადად განიხილავს რუსთაველის ბიოგრაფიას, მის ცხოვრება- შემოქმედებას.

ნაწარმოების პროლოგში რუსთაველი წარმოდგენილია ბედისგან ჩაგრულ ადამიანად, რომლისთვისაც ამქვეყნად არავინ ზრუნავს, გარდა უზენაესი ღვთაებისა. ღვთაებამ აუნთო მას წმინდა გული, ბრძენი გონება, შთაუნერგა ტკბილი ენა, დამწველი სიტყვა. ვახტანგ ორბელიანი ლირიკული გადახვევებით ხატავს ბუნების პლასტიკურ სურათებს, რის შემდეგაც მიმართავს „განათლების დიდ კერას“ - ძველ ელადას, სადაც ჭაბუკი ცოდნასა და სიბრძნეს ეძიარა:

„ქვეყანავ ღმერთთა, მიწავ გმირთა, ელინთ მამულო,

მტარვალთ ხელითა დანგრეულო და წამებულო,

დიდო აკვანო, დიდო კერავ განათლებისა,

დიდო სამშობლოვ ჰომერის და თემისტოკლისა,

შენ შეიშვილე და შენ იძმე იგი ობოლი,

და შენთ ძეთ სწავლით და მათ სიბრძნით აწ შემკობილი“.

(ორბელიანი, „ობოლი“, 1949:65)

ცოდნით აღჭურვილი პოეტი სამშობლოში ბრუნდება და ხედავს თამარის ეპოქის ინტენსიურ მშენებლობასა და შრომით პათოსს. ადამიანის შრომით არხები და გზები იწრება, მაღალი კოშკები და ციხეები იგება, ტაძრები და პალატები შენდება:

„ესმის ყოვლის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,

ჭექა ნაღმისა და საამო ხმა სიმღერისა.

ნახა, სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად დგებოდა,

ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა“.

(ორბელიანი, „ობოლი“, 1949:64)

აყვავებულ სამშობლოში პოეტი მოჯადოებული შეჰყურებს მშვენიერების უზადო ხატს - დიდებულ თამარს, რომლის სიტურფემ შთააგონა აღმოეთქვა სიბრძნითა და სიტკბოებით აღსავსე ლექსი. პოემის ბოლო თავში გენიალური პოეტი თამარს გადასცემს თავის ხელთუქმნელ ძეგლს ასეთი სიტყვებით:

„დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა,

შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა“.

(ორბელიანი, „ობოლი“, 1949:66)

„ამ სიტყვებში ცნაურდება ავტორის აზრი, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია შემოქმედებითი პრიცესისათვის მშვენიერებით განათებილი ამაღლებული სიყვარული. თუმცა გადამწყვეტი ფაქტორის ფუნქციას ღვთაებრივი შთაგონება ასრულებს. ქართველი რომანტიკოსებიდან ვახტანგ ორბელიანი ყველაზე უფრო დაინტერესებული

ჩანს რუსთაველის პიროვნებითა და შემოქმედებით. მან პოეტური ინტუიციით შეიგრძნო რუსთაველის გენიალური ნიჭის ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი. ვახტანგ ორბელიანს რუსთაველის პოეზიის ერთ-ერთ თავისებურებად მიუჩნევია სიბრძნისა და ესთეტიკური ტკბობის სინთეზი. რუსთაველმა წარმოთქვა „ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით“. ამიტომაა, რომ მსოფლიო პოეზიის პარნასზე რუსთაველთან შემართებას ძნელად თუ გაბედავს რომელიმე პოეტი. იგი ადამიანის ვნებისა და აზრის, სიტყვისა და ლექსის ჯადოქარი ხელოვანია“. (ჟღენტი, 1965:56-60)

ამგვარად, ქართველ ხალხს, ისტორიის ძნელბედობის ქარტეხილებში, რუსთაველის გენია უნათებდა გზას, როგორც ლამპარი:

„და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება,
და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვალადვე დგება,
და თუ აქამდის არ დავკარგეთ სითბო გულისა, -
იგია მადლი იმ ნათელის წმიდის ლამპრისა“.

(ორბელიანი,„ნანგრევთა შუა ლამპარი“, 1949:11)

დ ა ს კ ვ ნ ა

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ვახტანგ ორბელიანი მეტად გამორჩეული და თავისებური პიროვნებაა. პოეტი ეპოქის გზაგასაყარზე მოღვაწეობდა, როდესაც მთავრდებოდა რომანტიზმი და საფუძველი ეყრებოდა რეალიზმს. მისი პოეტური შემოქმედება, იდეური და ესთეტიკური პათოსი მსგავსი იყო რომანტიკოსებისა, თუმცა მთელი ძალით ცდილობდა გამოეჩინა ინდივიდუალური სახე, რაც დამსახურებულად შეძლო.

პოეტი ბატონიშვილების პატრიოტული ლირიკით დაიბადა და ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნულ რომანტიზმზე აღიზარდა და შემდეგში კი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რეალიზმსაც მოესწრო და საგრძნობლად განიცადა იგი. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი პოეტური გზა. ამ მხრივ ვახტანგ ორბელიანის პოეტური შემოქმედება მეტად თავისებური და საინტერესოა.

ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი არ არის, როგორც რომანტიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის, მაგრამ სუფთა და შეურეველია. პოეტმა მთელი თავისი ენერგია და სული სამშობლოს შეალია. მის დიდებულ წარსულს,

ტრაგიკულ აწმყოსა და სასურველ მომავალს. ეს პატრიოტული სულისკვეთება გამოწვეული იყო იმ დიდი ტკივილით, რაც სამშობლოსაგან შორს ყოფნამ მიაყენა პოეტს. მთელი მისი შემოქმედება ერთი დიდი სატკივარის გამოხატულებაა დაწყლულებული გულიდან ამონადენი. მის შემოქმედებას ახლავს, ბევრი ცრემლი და წუხილი, სევდა და ტკივილი.

ვახტანგ ორბელიანისათვის გაუსაძლისია სამშობლოსგან შორს ყოფნა ის ფრთამოტეხილ ჩიტს ემსგავსება, რომელსაც ფრენა აღარ შეუძლია. ისევე, როგორც შროშანისათვის აუცილებელია ბაღში ყოფნა და სტვენა, არწივისათვის მთა კლდეზე ფრენა, ცაში ნავარდობა, ასევე პოეტისათვისაც აუცილებელია იყოს თავის სამშობლოშ, რადგან მისი გული ზღვასავით ვრცელი და თავისუფალია, ჰორიზონტივით უსასრულოა, რომელშიც მხოლოდ სამშობლოს სიყვარული დაისადგურებს.

უცხო ქვეყანაში ყოფნამ პოეტის გული დაასნეულა. სიშორე მისთვის სულიერი და ფიზიკური წამების ტოლფასი იყო. თავს მიუსაფრად და დაბეჩავებულა გრძნობდა სული უკვნესოდა და გული უკვდებოდა სხვაგან, რადგან არც მზე და არც მთვარე მშობლიური სიცხოველით არ ანათებდნენ. გადასახლებაში მყოფი პოეტი ფიცს აძლევდა სამშობლოს, რომ არ დაივიწყებდა მშობლიურ მამულს, მის ზურმუხტ ველებს, მამა-პაპათა საფლავებს და ქვეყნისათვის თავდადებულ გმირთა სახელსა და ღვაწლს.

ვახტანგ ორბელიანმა ლექსები მიუძღვნა გელათს, კახეთს, შოთა რუსთაველს, რომლებშიც გამოხატულია სიდიადე წარსულისა, სილამაზე სამშობლოსი და მაღალი ნიჭი შემოქმედებისა. აღუდგენელი წარსული (“ძველი დმანისი“), მისი სიმტკიცე („ორი შენობა“), რომანტიკული წარმოსახვა ხალხის სიკეთისათვის მზრუნველი მეფისა („დედოფალი“), ისტორიული თავგადასავალი სამშობლოსი („სამშობლო ქვეყნის პასუხი“), მეფე ერეკლეს საქმენი საგმირონი და სასახელონი („ირაკლი და კოხტა ბელადი“ და „ირაკლი და მისი დრო“) და სხვანი არის ვახტანგ ორბელიანის ლექსების თემა.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიას საქართველოს წარსულთან ერთად სამშობლოს აწმყო და მომავალიც ჰკვებავდა. პოეტი მაინც იმედითა და ოპტიმიზმით შეჰყურებდა ქვენის მომავალს. წარსულის ნანგრევთა შორის ხედავდა მომავლის მნათობ ვარსკვლავს, რომელიც წინაპართა მტკიცე ხელით ანთებულა და სწამდა, რომ მას ვერავითარი გარე ძალა ვერ ჩააქრობს. ეს ნათელი მომავალი გვიჩვენა „იმედში“ მხსნელი ასულის სიტყვებით: „გწამდესო ღვაწლნო მამა-პაპათ არ განქრებიან.“, „გწამდეს ეს შთენნი დიდებილად კვლავ აღსდგებიან“.

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებითი პათოსი მიმართული იყო სამშობლოსთან ერთად მის მკვიდრთა ბედისაკენ. პოეტი ცდილობდა თავისი კალმით დახმარებოდა გლეხკაცს, მისთვის შრომა შეემსუბუქებინა, გაჭირვებაში მყოფისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინა, მშიერი დაეპურებინა, ობლისათვის ცრემლი მოეწმინდა. ის ამხელდა თავადაზნაურთა მანკიერ მხარეებს, აქტიურად იდგა დაჩაგრულთა გვერდით. პოეტი საზოგადოებას მოუწოდებდა განათლებისაკენ, რადგან მხოლოდ ცოდნას შეუძლია ადამიანის გადაჩენა და გამოყვანა გაჭირვებიდან. მხოლოდ ცოდნას შუძლია მისცეს ადამიანს მისი უმაღლესი საჭიროება „თავისუფლება“. პოეტი სწავლაში ღვთიურ ძალას ხედავდა, რომელიც ყველანაირ ძალასა და ღონეზე აღმატებულია. „სწავლული იყოს თუმცა ღონით ძალით უძლური“ გვეუბნება პოეტი.

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს რელიგიურ თემას. მის ლირიკაში ასახულია ქრისტიანობის ბრძოლა წარმართობასთან, ქრისტიანული რელიგიის კულტი. ნინოს ჯვარმა დაამკვიდრა ქრისტიანობა საქრთველოში, სარწმუნოება სიხარული და მოსვენებაა, ღმერთს წილი უდევს საქართველოს გადარჩენაში, სარწმუნოება ადამიანის არსებობის განმაახლებელია. (პოემა „ჯვარი ვაზისა“, „იანვრის 14-ს“). ამ პოემებში ბევრი გრგვინვა, ჭექა-უხილი და ზღვის ტალღების ღმუილი გაისმის, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან ნამდვილ გრანდიოზულობას,

თუმცა ისინი საგულისსხმიერონი არიან პოეტის იდეოლოგიის გამოსარკვევად. ქართული კულტურის ერთ მთავარ წყაროდ ის ქრისტიანობას სთვლის.

არც ერთი სტრიქონი არ არის ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში რადიკალური ბრძოლის გამომხატველი, მისი პოეზია ქრისტიანული მოთმინებით არის აღსავსე და წარსულს გამოხატავს, როგორც ფერგადასულ ბრწყინვალებას, რომელიც შეიძლება აღორძინდეს და გაძლიერდეს.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ვახტან ორბელიანი ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილია თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, რომელიც სულით ხორცამდე განიცდის და იზიარებს მის ჭირსა და ვარამს. ის არის ადამიანი, რომელსაც მამულთან განშორება სულიერ ტკივილს აყენებს, ტანჯავს, გულს სევდითა და დარდით უვსებს, უძგერებს: „შორს ვიყავ მისგან, მაგრამ გულით სულ ვიყავ მასთან“, „ჩემს ღარიბს ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს ლამაზთან“- ასეთი ძვირფასი სიტყვებით ეფერება პოეტი სამშობლოს. მისი პოეზია ქართული რომანტიზმის უკანასკნელი, მაგრამ ძლიერი გამოძახილია, რომელმაც მთლიანად შეისისხლხორცა პატრიოტული სულისკვეთება. მისი შემოქმედება მკითხველს ღრმა ადამიანური ფასეულობებით აღავსებს და აირაღებს: ჰუმანიზმით, პატრიოტიზმით, ვაჟკაცობით, რწმენით, ცოდნით. ვფიქრობთ, ვახტანგ ორბელიანი რომანტიზმის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია და შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ქართულ რომანტიზმს მისი ხალასი შემოქმედების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე ზ., ვახტანგ ორბელიანი, ლიტერატურული პორტრეტები, (ქართული პოეზიის სამი საუკუნე), ბაკმი, 2009
2. აბაშიძე კ., ეტიუდები, ტ. III, თბ. , 1956
3. ახალი ქართული ლირერატურის ისტორია, ტ. I, თბ.,1972
4. გამეზარდაშვილი დ. , ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდა, თბ. , 1948
5. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970
6. ევგენიძე ი., ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ.,1982
7. ზანდუკელი მ., თხზულებანი, ტ. I, თბ. ,1972

8. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ჩანაწერები ორ წიგნად, თბ., 1965
9. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1953
10. კიკნაძე გ., თხზულებანი, IV, თბ., 2009
11. კალანდაძე ა. , გვაქვს საგანძური, თბ., 1986
12. მახარაძე აპ. , ქართული რომანტიზმი, თბ., 1982
13. ორბელიანი ვ. , თბ. ,1949
14. ჟღენტი გ. , ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1965
15. საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1948
16. სირაძე რ. , სახისმეტყველება, თბ., 1982
17. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1972
18. ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, თბ., 2011
19. ქართული მწერლობა, ტ. IX, თბ., 1987
20. ქიქოძე გ., რჩეული თხზუულებანი, ტ. III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965
21. ჭავჭავაძე ი., წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. III, თბ., 1977
22. მისივე, თხზულებანი, ტ. III // IV, თბ., 1991
23. ჭილაია, ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1941
24. ჭიჭინაძე ს., მეგზური, თბ., 1959
25. ხუციშვილი ს., ქართველი რომანტიკოსები, თბ., 1978
26. https://www.youtube.com/watch?v=JMLAJyVf6Ro
27. https://www.youtube.com/watch?v=qgy1aa_xbTM